# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ორშაბათი 21 ივნისი 2004 №140 (2159) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# 0:1



REUTERS

# русская хлопушка

REUTERS

## რუსების ბერძნებზე გამარჯვებას ხმა ჰქონდა, ძალა არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გეორგი იარცევი
**без комментарий**

რუსი ეშმაკივითაა, თუ ჩამოგეკიდა, რაღაცას მაინც ჩამოგახევს.

## რუსეთი 2 — საბერძნეთი 1

**20 ივნისი**
A ჯგუფი. III ტური
ფარუ. ალგარვე

1:0 კირიჩენკო (2), 2:0 ბულიკინი (17), 2:1 ვრიზასი (43)

**რუსეთი:** 12 მალაფეევი; 13 შარონოვი, 21 ბუგაევი, 16 ევსეევი, 14 ანიუკოვი; 2 რადიმოვი; 5 კარიაკა, 8 გუსევი; 15 ალენიჩევი; 9 ბულიკინი, 18 კირიჩენკო

მწვრთნელი: გეორგი იარცევი

შეცვლა: კარიაკა — 6 სემშოვი (46), ბულიკინი — 3 სიჩოვი (46), შარონოვი — 17 სენიკოვი (56)

**საბერძნეთი:** 1 ნიკოპოლიდისი; 19 კაპსისი, 5 დელასი, 2 სეიტარიდისი, 3 ვენეტიდისი; 7 ზაგორაკისი, 6 ბასინასი; 21 კაცურანისი; 9 ხარისტიასი, 22 პაპადოპულოსი; 15 ვრიზასი

მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი

შეცვლა: ბასინასი — 10 ცარტასი (41), პაპადოპულოსი — 11 ნიკოლაიდისი (69), ვენეტიდისი — 14 ფისასი (89)

გაფრთხილება: შარონოვი (15), ანიუკოვი (28), კარიაკა (39), ვრიზასი (45), ალენიჩევი (65), რადიმოვი (71), დელასი (86), მალაფეევი (88)

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი). 30 000 მაყურებელი

ჯარიმა: 18-16; კუთხური: 5-8; კარისკენ დარტყმა: 9-5; კარში დარტყმა: 8-5; თამაშგარე: 2-5



## ოტო რეჰაგელი

ახლა კრიტიკის დრო არ არის, ახლა სიხარულის დროა. ჩვენ უკვე ყველაფერი მოვიგეთ. დასაკარგი აღარაფერი გვაქვს, ასე რომ, მეოთხედფინალში ნებისმიერ მეტოქესთან თავისუფლად ვითამაშებთ.

პაატა კვანტალიანი

# რუსის გაჯახუნებული ესპანეთს მოხვდა

რუსეთმა საბერძნეთს მოუგო და ისე გამოჩნდა, რომ კარის გასაჯახუნებლადღა ჩასულა პორტუგალიაში. წუხანდელი მატჩის შემდეგ მწვრთნელ გეორგი იარცევის თამადობით რუსები მორალურად კმაყოფილნი დარჩნენ, თუმც, რეალურად იარცეველებმა ევროპის ჩემპიონატი ჩააგდეს. ეს კარის გაჯახუნებაც ისეთი გამოდგა, რომ ჩაკეტილ ოთახში არავინ დარჩენილა: მარცხით საბერძნეთს ხელი არ შეშლია მეოთხედფინალში გასასვლელად.

არადა, ეშლებოდა...

მე-17 წუთზე ბერძნები ცალი ფეხით სახლში იყვნენ, რაკილა, იმ წუთისთვის 0:2-ს აგებდნენ და ასეთ შემთხვევაში ესპანეთი პორტუგალიასთან ერთბურთიანი სხვაობით წაგების შემთხვევაშიც ჯობნიდა ბერძნებს.

რუსები მხეცივით ეკვეთნენ მეტოქეს სასტვენის ჩასტვენისთანავე და უკვე მე-2 წუთზე კირიჩენკომ ჯერჯერობით ჩემპიონატის უსწრაფესი გოლი გაიტანა. იარცევს კირიჩენკოს გარდა ხუთი სამარქაფო დაეყენებინა ძირითადში და როგორც გამოჩნდა, როტაციის პრინციპმა რუსები ახეირა.

საადრეო გოლისას უხეშად შეცდა ბერძენთა დაცვა, ფაქტობრივად, ელინებმა თავად შეუწყვეს ხელი კირიჩენკოს და ამასაც თავი არ შეურცხვენია.

ბერძენთა დაცვა გოლის მერეც არეული ჩანდა, მეტიც, თითქოს უარს ამბობდნენ ოტოს ბიჭები დაცვაზე და რუსიც უფრო და უფრო მიაწვია. რეჰაგელი შეშლილივით ყვიროდა, სტვენდა, თითქოს მოედანზე შევარდნას ლამობდა, მაგრამ, გერმანელი მწვრთნელის ბობოქრობამ ბერძნები ვერ გამოაფხიზლა და მალე კუთხურისას ბულიკინმა ლამაზი თავურით საბერძნეთს ჯგუფიდან გასვლა სათუო გაუხადა.

რეჰაგელი რის რეჰაგელია, თამაში არ შეეცვალა და მოედნის გარედან ყვირილით ვერაფერს რომ გახდა, ცვლილება გააკეთა და მანამდე ხელსაყრელი მომენტის გამცუდებელი და არეულად მოთამაშე ბასინასი სკამზე დასვა და ერთ წუთში ხეირიც ნახა. იქამდე კი ბერძნებს ეტყობოდათ, რომ ღილინღილნით იყვნენ გასულნი რუსებთან სათამაშოდ, მაგრამ 0:2 სახუმარო ამბავი არ იყო რეჰაგელის გუნდისთვის და მიაწვნენ ბერძნები. აქეთ რუსი არ იშლიდა კონტრჩხვლეტებს და გახურდა თამაში.

ერთწუთიან მონაკვეთში კაცურანისს და კარიაკას შეეძლოთ გატანა. ბერძენს ხუთი მეტრიდან არ გაატანინეს მცველებმა. კარიაკამ კი სასწაულებრივ ააცილა თავური, ეს იყო და ხარისტიასმა ჩაისვარა: ორი მეტრიდან ცარიელ კარში ვერ შეაგდო, მაგრამ ტაიმის ბოლოს ბერძნებმა მაინც იხეირეს, ვრიზასმა საჯარიმოში უხეში შეცდომა არ აპატია მეტოქეს და სხვაობა შეამცირა.

სამეორეტაიმოდ რეჰაგელმა აჯკელი მეგოლე ცარტასი დაქოქა, მაგრამ მის გუნდს მაინც ეტყობოდა, რომ სანახევროდ პორტუგალია — ესპანეთის მატჩზე ფიქრობდა, ამ ორცეცხლშუა იარეს ბერძნებმა მატჩის ბოლომდე, არადა, არაერთხელ გაჩნდა იმის შანსი, რუსებს მესამეც შეეგდოთ და შოკში ჩაეგდოთ მეტოქე, მაგრამ ოტოელებმა ფსიქოლოგიურ ტვირთმოხსნილ მეტოქეს გაუძლეს და ანგარიში შეინარჩუნეს, წამგებიანი ანგარიში, რომელიც მთლიანობაში მომგებიანი აღმოჩნდა ბერძნებისთვის.

საბერძნეთი მეოთხედფინალშია, რუსეთმა კი კარის გაჯახუნება იცის...



REUTERS ფოტოები

რუსების მეორე გოლმა საბერძნეთი წელში გატეხა



# ინაკი საესი
# Adios a la Eurocopa

| ესპანეთი | 20 ივნისი | პორტუგალია |
|---|---|---|
| 0 | A ჯგუფი. III ტური<br>ლისაბონი. ჟოზე ალვალადე | 1 |

0:1 ნუნუ გომეში (57)

**23 კასილიასი**

22 ხუანიტო, 6 ი. ელგერა

5 პუიოლი, 15 რაულ ბრავო

16 ხაბი ალონსო, 4 ალბელდა

19 ხოაკინი, 7 რაული, 14 ვისენტე

9 ფ. ტორესი

მწვრთნელი: ინაკი საესი

**შეცვლა**

ალბელდა — 8 ბარახა (66), ხოაკინი — 11 ლუკე (72), ხუანიტო — 10 მორიენტესი (80)

**1 რიკარდუ**

4 ჟორჟე ანდრადე, 16 რ. კარვალიუ

13 მიგელი, 14 ნუნუ ვალენტე

6 კოშტინია

7 ფიგუ, 18 მანიშე, 20 დეკო, 17 კ. რონალდო

9 პაულეტა

მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი

**შეცვლა**

პაულეტა — 21 ნუნუ გომეში (46), ფიგუ — 8 პეტიტი (78), რონალდო — 5 ფ. კოუტუ (85)

**გაფრთხილება:** პაულეტა (7), ალბელდა (8), ნუნუ გომეში (65), ხუანიტო (68), პუიოლი (74)

**მსაჯი:** ანდერს ფრისკი (შვედეთი). 47 491 მაყურებელი

ჯარიმა: 24-24; კუთხური: 9-11; კარისკენ დარტყმა: 5-7; კარში დარტყმა: 6-13; თამაშგარე: 3-3

## ლუიშ ფელიპე სკოლარი

მოვიგეთ და ამით ბედნიერები ვართ, მადლობას ვუხდი გულშემატკივრებს. ისინი არა მხოლოდ მე-12, მე-13 და მე-14 მოთამაშეებიც იყვნენ. მათ გარეშე ვერაფერს მივაღწევდით, ვნახოთ ახლა, რა იქნება.

# მშვიდობით, მეზობელო!

გიორგი დარჯანია

პორტუგალია მეოთხედფინალშია! ესპანეთი კი ჩასხდება ავტობუსში და წავა სახლში, მე შენ გეტყვი და, შორი გზა აქვს გასავლელი.

თამაშის დაწყებისას უპირატესობა ესპანელებისა იყო. სათამაშო უპირატესობას და სახიფათო მომენტებს არ ვგულისხმობთ — ესპანელებს ფრეც აწყობდათ, პორტუგალიას კი მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს.

თამაში დაიწყო და, ესპანეთის უპირატესობა კიდევ უფრო თვალშისაცემი შეიქნა — სახიფათო მომენტებს არც ამჯერად ვგულისხმობთ, უბრალოდ, რუსეთმა საბერძნეთს ძალიან სწრაფად ორი გოლი გაუტანა და ესპანეთს ერთი ბურთით წაგების უფლებაც კი მიეცა, მაშინ, როცა პორტუგალიას კვლავ მხოლოდ მოგება სჭირდებოდა.

თამაში, ცხადია, უაღრესად დაძაბული იყო, მაგრამ შესვენებისას, როცა საპირველტაიმო ამბავი გონებაში კიდევ ერთხელ გავაანალიზეთ, აღმოვაჩინეთ, რომ დაძაბულობის გარდა მოედანზე არაფერი ყოფილა. ერთადერთი გამოსარჩევი მომენტი ბოლო, 45-ე წუთზე შეიქმნა, როცა ლუიშ ფიგუს ჩაწოდებულს რონალდომ თავი დაჰკრა და ოდნავ ააცილა. სულ ეს იყო.

მეორე ტაიმის დასაწყისში არაფერი შეცვლილა, დაძაბულობა დარჩა, ოდნავ გაიზარდა კიდეც, მაგრამ მომენტი არ იქმნებოდა. მაგრამ ცხადია, მომენტი ადრე თუ გვიან უნდა შექმნილიყო და პირველივე ნაღდი მომენტი ნაღდი გოლითაც დასრულდა.

ფიგუს პასი მისცეს. მან ერთი შეხებით ნუნუ გომეშს გაუგდო, გომეშის წინ სამი ესპანელი იდგა. ნუნუ შემოტრიალდა, კარისკენ გაიხედა და დაარტყა. მიუხედავად იმისა, რომ დარტყმა საჯარიმოს გარედან შესრულდა, კასილიასისთვის მოგერიება, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო.

ეგებ მთავრიც — ამ დროისთვის ბერძნებმა რუსებს ერთი ბურთი გაუქვითეს და ვითარება საპირისპიროდ შეიცვალა — ახალ რეალობაში ესპანეთი ჯგუფში რჩებოდა, პორტუგალია კი პირველ ადგილზე გადიოდა.

გოლმა თამაში გამოაცოცხლა. უფრო სწორად, ესპანელებმა, იქამდე არაფერი რომ გაუკეთებიათ, გავარდნის საფრთხის დადგომისთანავე იერიშებს უმატეს და რამდენიმე ძალიან სახიფათო მომენტიც შექმნეს: მეკარე რიკარდუ მაღალ ბურთს ვერ შესწვდა, რაულის თავური კი მეტისმეტად არაზუსტი გამოდგა; იმავ რიკარდუსთან პირისპირ გასულმა ფერნანდო ტორესმა ძელს გაარტყა; ალბერტ ლუკემ რიკარდუს ბურთი თავზე გადაუგდო, მაგრამ ბოლო წამს რიკარდუ კარვალიუმ კუთხურზე მოიგერია; ამ კუთხურიდან ჩაწოდებულს ისევ თავური მოჰყვა

REUTERS ლისაბონიდან

კაპიტანმა რაულმა სამკლავურით ოფლი კი მოიწმინდა, მაგრამ დარდი ვერა

და ბურთი ამჯერად ხარიხას მოხვდა.

ერთი სიტყვით, ესპანელებს გასათანაბრებლად მომენტები საკმარისად ჰქონდათ და რომ ვერ გაიტანეს, მხოლოდ საკუთარ თავს თუ დააბრალებენ.

რაც დრო გადიოდა, ბუნებრივია, ესპანელების ნერვიულობაც იზრდებოდა. ბოლოსკენ ისინი გააზრებული კომბინაციების ნაცვლად ბურთის გრძელი პასებით ჩაგდებას ცდილობდნენ პორტუგალიელთა საჯარიმოში, ამ გრძელი პასებიდან კი ეფექტი ნული იყო.

პორტუგალიამ კი სწორი ტაქტიკა შეარჩია — კონტრიერიშები, რასაც ზედიზედ ოთხი ნაღდი მომენტი მოჰყვა: მანიშეს თავური, ბურთი ოდნავ რომ გადასცდა კარს; კოშტინიას თავური, ასევე ოდნავ რომ ასცდა კარს; მანიშეს მეკარესთან პირისპირ გასვლა, რაულ ბრავომ კარის ხაზიდან თავგანწირვით რომ გამოიტანა ბურთი და დეკუს დარტყმა, კასილიასმა რომ ივაყკაცა.

ბოლოს კი მსაჯმა ესპანელების გულისგახათქადაც ჩასტვინა.

REUTERS ლისაბონიდან

ნუნუ გომეშის გატანილმა პორტუგალიას უსაზღვრო სიხარული მოუტანა

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| საბერძნეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| რუსეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |

*პორტუგალია და საბერძნეთი გავიდნენ მეოთხედფინალში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიო ახვლედიანი პორტუგალიიდან

# იმის წინ, რაც არ მოხდა

## უკვე ვიცით: ესპანეთი სახლშია

ამ შემთხვევაში თქვენ უპირატესობა გაქვთ, რადგან როცა ამ საორშაბათო გაზეთს აიღებთ ხელში, უკვე გეცოდინებათ, ვისთვის დამთავრდა ჩემპიონატი, მასპინძლებისთვის, ესპანელებისთვის თუ ბერძნებისთვის. კიდევ მეტიც გეცოდინებათ, მე კი მორიგ წერილს პორტუგალია-ესპანეთის მატჩის დაწყებამდე ორი საათით ადრე ვწერ, ვინაიდან მატჩის შემდეგ რომ მოვიწერო, გაზეთში ვერასგზით მოხვდება. კი დაგვპირდა ჩვენი მთავრობა, დროის სხვაობას შევამცირებო, მაგრამ იქამდე ჯერჯერობით მთელი კვირაა და პორტუგალიასა და საქართველოს შორის სხვაობა ჯერ კიდევ ოთხი საათია.

ლისაბონის „ჟოზე ალვალადე" კი, თეთრ-მწვანე საუცხოო ადგილი, ელის უკანასკნელ იმედს. მთელი ლისაბონი ელის ამ თამაშს მასპინძლებსა და ესპანელებს შორის. პორტუგალიას მხოლოდ გამარჯვება უნდა. ანუ პორტუგალიისთვის პლეი ოფი დაწყებულია. სკოლარი ამბობს, რომ პორტუგალია აუცილებლად მოიგებს. თუ თქვენ ამის დაჯერება გიჭირთ, დაგეთანხმებით. მაგრამ არავინ იცის, რას მოიმოქმედებენ მასპინძლები.

საერთოდ, პორტუგალიელებმა ისე გაინაწილეს ცხრილი, რომ სამი ჯგუფური თამაში ქვეყნის სამ დიდ სტადიონს არგეს. სამივე ამათგანი, „დრაგაუ", „ლუზი" და „ალვალადე" თავისებურად იღბლიან-უიღბლოა ნაკრებისთვის. მაგრამ ფეხბურთის მამებს უნდოდათ, რომ ნაკრებს ეთამაშა ქვეყნის სამივე დიდი გუნდის მინდორზე. „დრაგაუზე" მასპინძლებს ფეხი გადაუბრუნდათ, „ლუზმა" მათ იმედი ჩაუსახა. ახლა კი ეს მშვენიერი „ალვალადე", სადაც „სპორტინგი" თამაშობს და სადაც ყოველთვის ლიბერალები იყრიდნენ თავს. ვნახოთ, რა იქნება. თუმცა უკვე ნანახი გაქვთ. ლისაბონის მოედნებზე კი შუადღიდანვე იყრის თავს ხალხი. თვით „კომერსიალზეც" კი, ლეგენდარულ ზღვისპირა მოედანზე ტევა არ არის. პორტუგალიის ჩრდილოეთში გამეფებული სამდღიანი სიგრილის კუდი სუსტად, უძლური ნიავით სწვდება აქაურობას. იცით, როგორ მოდიან ნაკრებები თამაშებზე? ვერტმფრენების თანხლებით. თუმცა მე მგონია, რომ ოსამა ბინ ლადენს და მის ამხანაგებს საპორტუგალიოდ არაფერი დაუგეგმავთ. ვერტმფრენი თამაშის დღეს ხშირად ჩანს, თანაც არაერთი. ერთი უშუალოდ გუნდის ავტობუსს აცილებს, მეორე სტადიონის თავზე დატრიალებს. ლისაბონში სულაც ორი ტრიალებს „ლუზსა" და „ალვალადეს" შუა, რომლებიც არცთუ შორიშორსაა ერთმანეთისგან.

ვერტმფრენით გუნდის გაცილება მართლაც იშვიათი სანახავია. ამას მოტოესკორტი და დაცვის სამიოთხი მანქანაც ემატება და მიდი, მოსწიე რამე ხიფათი, თუ ბიჭი ხარ.

ამ დღეების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხავი პორტუგალიის ქალაქებში ქვეყნის უძველესი სპორტული გაზეთი „ა ბოლა" გახლავთ. საერთოდ, პორტუგალიელებისთვის გაზეთის დიდი ტრფიალი არ შემიმჩნევია, უფრო შაბათობით ფურცლავენ კაფეებში „დიარი დე ნოტისიას", „კომერსიალს" და სხვებს. თუმცა, ათიდან რვა შემთხვევაში ხელში მაინც „ა ბოლა" უჭირავთ. მოკლედ, რაღაცით ვგავართ ერთმანეთს ჩვენ და ეს კაეშნიანი და ღიმილიანი ხალხი.

ბოლო ორი დღის თამაშთაგან მთავარი, რა თქმა უნდა, იტალია — შვედეთი იყო და მე თუ მკითხავთ, საფრანგეთ — ინგლისთან ერთად სწორედ ეს იყო ჩემპიონატის ყველაზე მაგარი თამაში. საერთოდ, ამ ჩემპიონატმა ყველანაირი ტელერეკორდი მოხსნა ევროპაში. თამაშთა შორის რეკორდსმენი კი პორტუგალია — რუსეთი გამოდგა, რომელსაც პორტუგალიაში ცქერის უნარის მქონე მოსახლეობის 80 პროცენტმა უყურა. თვით საფრანგეთში კი ბარე ექვსმა მილიონმა ადამიანმა. უკვე გამოთვლილია, რომ ევროპის ჩემპიონატს ყველაზე მეტი ხალხი ინგლისში უყურებს და აქაც სტადიონებზე ყველაზე მეტი ბილეთიანი (უბილეთოც) კაცი ინგლისელია. გაუყიდავი ბილეთები სულ ინგლისელებს რჩებათ. ისინი ყველა თამაშზე დადიან და სტადიონი არ არის, 10 ინგლისური დროშა რომ არ გადმოფინონ ტერასაზე. ამის ახსნა მარტივია. ინგლისელებს არა მხოლოდ ტურიზმი და ფეხბურთი უყვართ, არამედ ფულიც აქვთ. თავად პორტუგალიელებს უჭირთ სხვის თამაშებზე ბილეთის ყიდვა, ხოლო ინგლისელებს უკან მოსდევენ სკანდინავები, ვინც ასევე ფინანსურად წელგამართულნი არიან.

როდესაც ჯუზეპე გარიბალდი ათავისუფლებდა იტალიას, ჰკითხავდა ხოლმე იტალიელებს: ვისია იტალია? ესენი კი მიუგებდნენ: იტალია ჩვენია. იტალიელი ტიფოზების სიმცირე მართლაც სალაპარაკო შეიქნა. მაგრამ აქვე გამოვარკვიე, რომ იტალიელთა რიცხვი ერთი ათად და მეტადაც იმატებს, თუ გუნდი ნახევარფინალში გავა. საქმე ისევ ფულია. სამხრეთი იტალია, სადაც გაგიჟებით უყვართ ფეხბურთი და „აძური", თავისი გახვრეტილი ჯიბით ვერ გასწვდება მთელს ჩემპიონატს.

ლისაბონში იტალიელთა დასის კომერციული ცენტრია, იტალიის სახლი, ასე ვთქვათ. ბარე ოთხი ჰექტარი უჭირავს. იქ სულ იტალიელები მუშაობენ და საერთოდაც, ლისაბონში მრავალი იტალიელი საქმიანობს. იქვეა უზარმაზარი ტელეეკრანი საგანგებოდ იტალიელთა მატჩების საცქერლად. საკვირველია, მაგრამ ამ იტალიურ ალაგას მეტი ხალხი იყრის თავს, ვიდრე სტადიონზე. ახსნა კვლავ მარტივია. იტალიის ნაკრები ჩრდილოეთში თამაშობს, ლისაბონიდან ჩრდილოეთის საკვანძო ადგილამდე, პორტუმდე მგზავრობა იაფი არ არის. ბილეთიც მიუმატე და კვლავ ჯიბემდე მიხვალ.



ტრაპატონი კი მაინც იმედიანადაა. დაფეხვილი და გავარდნილი ბულგარეთის კარში სამი გოლის გატანა „სკუადრა აძურას" შეუძლია. საერთოდ კი, იტალიელთა შინაური ამბავი გვარიანად რთულია. ჟურნალისტი ეგებ ვერ მისწვდეს მწვრთნელს და გუნდის სამზარეულოს, მით უმეტეს, თუ უცხოელია, მაგრამ საკითხის გამოსარკვევად საჭირო კაცს ყოველთვის გამონახავს. ასე გადავეყარე მე მავან კეთილ პორტუგალიელ ჯეელს, რომელიც იტალიის ნაკრების მძღოლია და მთელი ის გულგატეხილობა და არეული ვითარება, რაც ტოტის დისკვალიფიკაციას მოჰყვა, იტალიის გუნდში სულ წვრილად მომახსენა. ამის მიუხედავად, იტალია ქების ღირსია, რადგან მართლაც საუცხოოდ ითამაშა შვედების წინააღმდეგ. საერთოდ, იშვიათად მინახავს იტალიელთა ასეთი თამაში. იტალიელები ცუდად, წვრილმანად იქცევიან მოედანზე, მაგრამ როცა ბურთი აქვთ, მათი ცქერა ერთი სიამოვნებაა. მით უმეტეს, ასეთ ექსტრემალურ ვითარებაში, როცა ტოტი ტრიბუნაზე ზის და მის ყოველ გამოჩენას „დრაგაუს" დიდ ეკრანზე საშინელი გნიასი ახლავს. ხოლო ტიფოზობა სულ ერთი მუჭაა (რომელთა შორის ქართული დროშისებრ სახეშეღებილი ბიჭიც ერია) და ამგვარად თამაში მართლა ძნელია. იტალიელებმა თავიდან ბოლომდე და ლამაზად იციან ფეხბურთი, მაგრამ შვედები შვედები არიან და როცა შვედთა შორის ისეთი კაცი გამოერევა, რომელსაც შეუძლია ისე გაიტანოს გოლი, როგორც ეს ზლატანმა მოახერხა, მართლაც იტყვი, რომ მართალია, ფეხბურთში ჯერ კიდევ არსებობს ჩრდილოეთი და სამხრეთი, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც პირობითი ხდება. ვიერის ფოსფორისფერი ბუცები კი კვლავაც ელის საგოლე ნიშანს.

იტალია — შვედეთის მატჩის ბოლო წუთებს ბრაგადან მოუსწრო აწ შვედური სამოდელო ბიზნესის ერთ-ერთმა მეთაურმა მარტინ დალინმა, რომელიც მოდელივით იყო ჩაცმული და კაი ახოვანი ბიჭი ჩანდა. დალინი კაი ფეხზე მოვიდა და იხარა კიდეც. ახლა შვედები მომგებიან პოზიციაში არიან საუცხოო დანიასთან შედარებით.

პორტუგალიელები კი, თუმც უფრო იტალიის მხარეს იყვნენ, რადგან დელ პიეროს ალმერთებენ, მაგრამ ისიც ახსოვდათ, რომ სინამდვილეში ჰენრიკ ლარსონი პორტუგალიელია. უფრო სწორად, მამისი ანტონიო როშა კაპოვერდელი მეზღვაური იყო, როცა დედამისი გააჰენრიკა და გვარი ლარსონიც ბიჭმა იმიტომ მიიღო, რომ უფრო შვედი ყოფილიყო. კაპო ვერდე კი ჯადო კუნძულია ოკეანეში, პორტუგალიის კოლონია. იოლად რომ მიგახვედროთ, ეს ის ადგილია, საიდანაც გვწვდება გასაოცარი მომღერლის, სესარია ევორას ნაღვლიანი ხმა.

ლისაბონი კი თამაშს ელის. თქვენმა მონა-მორჩილმა კი თუ არ იჩქარა, ამ განსაკუთრებულ ამბავზე დააგვიანდება. რაც პორტუგალიას და ესპანეთს ერთმანეთში ომი ჰქონიათ... პორტუგალიას ერთადერთი მეზობელი ჰყავს სამყაროში და ისიც სულ უტევდა. თავად პორტუგალია არასდროს უტევდა ვინმეს. მხოლოდ მიდიოდა ახლის აღმოსაჩენად. სამყარო ხომ ასეთი დიდი და შეუცნობელი იყო.

მაგრამ ფეხბურთი სხვა საქმეა. ფეხბურთში პორტუგალიამ მხოლოდ შეტევა იცის.

# აჩუქეთ მოგუცს მეოთხედფინალი



სვენ გორან ერიკსონი

ოტო ბარიჩი

ხორვატებს მეოთხედფინალში გასასვლელად მოგება სჭირდებათ, ინგლისს კი ფრეც ჰყოფნის.

დევიდ ბექემმა ევრო 2000 გაიხსენა. მაშინაც მსგავსი ვითარება იყო. ჯგუფის ბოლო მატჩში რუმინეთთან ქულა უნდოდათ, მაგრამ დამარცხდნენ და შინ გაემგზავრნენ. „გერმანიას მეორე ტურში რომ ვძლიეთ, თავი ყველას მეოთხედფინალში გვეგონა, თუმც რუმინელებმა ციდან მიწაზე დაგვანარცხეს. მახსოვს, გარი ნევილი გერმანელებთან შეხვედრის შემდეგ სულ იმეორებდა, ზედმეტი თავდაჯერებულობა დაგვლუპავსო. ახლა არავის სურს, იგივე განმეორდეს, ამიტომ სრულად მობილიზება გვმართებს" — თქვა ინგლისელთა კაპიტანმა.

სვენ გორან ერიკსონი შიშობს, რომ უეინ რუნიმ მეორე გაფრთხილება არ მიიღოს, თორემ მეოთხედფინალში გასვლის შემთხვევაში გუნდი ყმაწვილი მეგოლის გარეშე დარჩება. „ჩემი სამწვრთნელო კარიერის მანძილზე არაერთ ვარსკვლავთან მიმუშავია — რუი კოშტა, რობერტო ბაჯო, პაულუ სერჟიო... მაგრამ რუნი სულ სხვა, განსაკუთრებული შემთხვევაა. მისთვის სულერთია, ვის წინააღმდეგ თამაშობს — ფრანგები არიან, შვეიცარიელები თუ თურქები, მნიშვნელობა არ აქვს. უეინის პრინციპი ასეთია: მომეცით ბურთი, რომ ვისიამოვნო. ფეთქებადი ხასიათის პატრონია, მაგრამ ვიმედოვნებ, ემოციებს მოთოკავს და მეორე ყვითელ ბარათს აიცილებს" — განაცხადა ერიკსონმა, ხოლო მაიკლ ოუენზე თქვა: „უდავოა, რომ მაიკლი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ფორვარდია. ადრე თუ გვიან, ის მაინც გაიტანს, ჩვენ კი საამისოდ შანსი უნდა მივცეთ. ბოლო ოც წელიწადში სხვადასხვა გუნდს ვწვრთნიდი და თავდამსხმელებს ყველგან ერთნაირი პრობლემები ჰქონდათ, სამ-ოთხ მატჩს ჩაგდებდნენ, შემდეგ კი კვლავ კარგად ათამაშდებოდნენ. ამიტომ ოუენი ხორვატებთანაც ძირითად შემადგენლობაში იქნება".

ოტო ბარიჩს გუშინ 71 წელი შეუსრულდა და ითხოვს, დაბადების დღისთვის საჩუქრად მოგება მიუძღვნან: „სამი ქულა საუკეთესო საჩუქარი იქნება და ვგონებ, ჩემი ფეხბურთელები მზად არიან საამისოდ. ინგლისელები ძალიან კარგად თამაშობენ, ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტები არიან, მაგრამ ვიცი, როგორ შევაჩეროთ. მთავარია, შევძლოთ ის, რაც შვეიცარიელებმა და ფრანგებმა ვერ მოახერხეს — უეინ რუნის დამუხრუჭება. მან დაამტკიცა, რომ მეტად ნიჭიერია, მაგრამ მასაც გავუმკლავდებით და მის ნაკრებსაც".

იუბილარმა მწვრთნელმა ტაქტიკა გაარჩია: „ვარჯიშებზე უკვე დავამუშავეთ საჭირო ვარიანტები. გვესმის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს მატჩი და სათანადოდ მოვემზადეთ. ინგლისი ფრთხილი გუნდია და საკუთარ ნახევარზე ჩასაფრებული ხელსაყრელ მომენტს ელის. ასე იყო საფრანგეთთან და შვეიცარიასთან.

„ჩვენ მეორე მატჩში ხომ დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია, უძლიერესებს ტოლ-სწორად ვეთამაშოთ. პირველი ტურის შემდეგ ყველამ ჩამოგვწერა, მაგრამ ზიდანიან ფრანგებს ლამის მოვუგეთ. ფსიქოლოგიურად ინგლისელებზე უკეთეს მდგომარეობაში ვართ, რადგან ჯგუფიდან მათ ვერგასვლას დიდი

## B ჯგუფი. III ტური. დღეს

ლისაბონი. ლუზი. 23.45

## ხორვატია – ინგლისი

სავარაუდო შემადგენლობები

ბუტინა; შიმიჩი, რ. კოვაჩი, ტუდორი, ჟივკოვიჩი; ბიელიცა, როსო, ნ. კოვაჩი, რაპაიჩი; პრსო, შოკოტა

ჯეიმსი; გ. ნევილი, ტერი, კემპბელი, ე. კოული; ბექემი, ლამპარდი, ჯერარდი, სქოულზი; ოუენი, რუნი

მსაჯი: პიერლუიჯი პოლინა (იტალია)



დადო პრსო

ალიაქოთი მოჰყვება, ხოლო ხორვატებს დასაკარგი არაფერი გვაქვს" — განაცხადა იოსიპ სიმუნიჩმა.

დადო პრსო, რომელიც „მონაკოდან" გლაზგოს „რეინჯერსში" გადავიდა, შოტლანდიელი გულშემატკივრების გულის მოგებას ინგლისელთა კარში გოლის გატანით აპირებს: „ვიცი, რომ შვეიცარიასთან სუსტად ვითამაშე, მაგრამ ამჯერად შეევეცდები, „რეინჯერსის" ქომაგები გავახარო — ჯეიმსს უნდა გავუტანო".

ვაჟა ხუციშვილი

## B ჯგუფი. III ტური. დღეს

კოიმბრა. სიდადე დე კოიმბრა . 23.45

## შვეიცარია – საფრანგეთი

სავარაუდო შემადგენლობები

შტილი; ანშო, მ. იაკინი, მიულერი, შპიხერი; ჰუგელი, ფოგელი, ვიკი; ჰ. იაკინი; შაპუიზა (ან ვონლანტენი), ფრეი

ბარტეზი; გალასი, ტურამი, სილვესტრი, ლიზარაზუ; პირესი, ვიეირა, მაკელელე, ზიდანი; ანრი, ტრეზეგე

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

დღეს საფრანგეთის ნაკრებს რაციონალიზმი და ღონე დასჭირდება — ევროპის ჩემპიონს შვეიცარიელებთან ქულა აქვს მოსაპოვებელი, თუმცა მწვრთნელი, ჟაკ სანტინი ამბობს, რომ მისი გუნდი მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

„შვეიცარიელებთან დადებითი შედეგის მიღწევა გვინდა, პორტუგალიაში ექვსი თამაშისთვის ჩამოვედით და დღევანდელი შეხვედრაც ერთ-ერთი მათგანია. მოედანზე შესაძლებისდაგვარად ძლიერ შემადგენლობას გავიყვანთ, ვინაიდან მხოლოდ გამარჯვება გვაწყობს" — განაცხადა მწვრთნელმა, რომელზეც ამბობენ, რომ ამოჩემებულ 4-4-2 განლაგებას, ალბათ, საბოლოოდ შეელევა, მაგრამ როდის?

ფრანგთა კაპიტანი მარსელ დესაი სავარაუდოდ, ისევ მოედნის კიდესთან მიდგმულ გრძელ სკამს დაუბრუნდება, ხოლო ნახევარმცველები, ოლივიე დაკური და სილვენ ვილტორდი კლოდ მაკელელეს და რობერ პირესს დაუთმობენ ადგილს.

„დღეს გუნდი საუკეთესო ფორმაში აშკარად არ არის, მე ვიტყოდი, სასურველ დონემდე მთელი 20 პროცენტიც კი გვაკლია, მაგრამ ამ სხვაობას მალე შევავსებთ. რაც მეტად ჩავერთვებით შეჯიბრებაში, მით უკეთ ვიგრძნობთ თავს" — თქვა სანტინიმ.

ტიერი ანრი: „ჩვენ მენტალურად ძალიან ძლიერები ვართ, რაც ბოლო ორ შეხვედრაში დავამტკიცეთ. ორივეჯერ ჩამოვრჩით და ორივეჯერ გამოვასწორეთ მდგომარეობა".

დავიდ ტრეზეგეს კი სწამს, რომ ფრანგთა ძრავა ჯერ სრული სიმძლავრით არ ამუშავებულა: „აშკარაა, ჯერ შთაგონებით არ ვთამაშობთ. აუცილებელია, ტემპს და რისკს მოვუმატოთ".

# ცოტა გარისკეთ დარტანიანის ჩამომავალნო



ჟაკ სანტინი მარსელ დესაის სკამზე დასვამს

შეგახსენებთ, რომ ფრანგებმა B ჯგუფში ჯერ ინგლისელებს მოუგეს 2:1, ხოლო შემდეგ ხორვატებთან ითამაშეს ფრედ 2:2. მათი გატანილი ოთხი გოლიდან სამი ზინედინ ზიდანმა სტანდარტული მდგომარეობის მეშვეობით გაიტანა, ერთის შეგდებაში კი მეტოქის მცველი, კერძოდ ხორვატი იგორ ტუდორი „დაეხმარა" და ფეხი წაუკრა, ხოლო მეოთხე, იმავ ხორვატთა კარში დავიდ ტრეზეგემ ხელი წაშველებით გაიტანა.

ახლა, რაც შეეხება შვეიცარიას. ამ გუნდმა (შეგახსენებთ, შესარჩევ ეტაპზე საქართველოს მეტოქე იყო), პირველ დღეს ხორვატებთან 1:1 ითამაშა, ხოლო შემდეგ ინგლისისგან 0:3 იწვნია და, მიუხედავად ამისა, მეოთხედფინალში გასვლის შანსი აქ კვლავ აქვს, ამისთვის თავად საფრანგეთს უნდა მოუგოს, ხოლო იქითა წყვილმა ბევრი ვარიანტიდან მაინცდამაინც მისთვის სასურველი უნდა ითამაშოს.

მაგალითად, თუ ხორვატები და ინგლისელები ფრედ ითამაშებენ, ხოლო შვეიცარია ფრანგებს მართლა აჯობებს, ინგლისელები, შვეიცარიელები და ფრანგები ოთხ-ოთხ ქულას მოაგროვებენ. ამ შემთხვევაში ინგლისი გასულია, ხოლო მეორე (თუ სამგოლიანი სხვაობით არ წააგო) საფრანგეთი იქნება.

და ბოლოს, მოგეხსენებათ, შვეიცარიელ ალექსანდერ ფრეის წინა თამაშში ინგლისელი სტივენ ჯერარდისთვის მიფურთხებაში სდებენ ბრალად. ეს დამტკიცებული არ არის, მაგრამ თუ დამტკიცდება, მაშინ მწვრთნელს, კობი კუნს შესაძლოა 18 წლის იოჰან ვონლანტენის გამოყვანა მოუხდეს.

პაპუნა კედია

**ალექსანდრს სტარკოვსი**

ისტორიული ამბავი მოხდა და ვფიქრობ, ფრე სამართლიანი შედეგია. შეიძლება ითქვას, ფრე მოვიგეთ

**ლატვია 0 — 0 გერმანია**

**19 ივნისი**
D ჯგუფი. II ტური
ჰორტუ. ბესა

| ლატვია | გერმანია |
|---|---|
| 1 კოლინკო | 1 კანი |
| 4 ზემლინსკისი, 2 სტეპანოვსი | 4 ვიორნსი, 6 ბაუმანი |
| 7 ისაკოვსი, 6 ბლაგონადეჟდინსი | 3 ფრიდრიხი, 21 ლამი |
| 14 ლობანიოვსი | 8 ჰამანი |
| 8 ბლეიდელისი, 10 რუბინსი | 19 შნაიდერი, 22 ფრინგსი |
| 3 ასტაფიევსი | 13 ბალაკი |
| 11 პროხორენკოვსი, 9 ვერპაკოვსკისი | 9 ბობიჩი, 10 კურანი |
| მწვრთნელი: ალექსანდრს სტარკოვსი | მწვრთნელი: რუდი ფიოლერი |
| შეცვლა | შეცვლა |
| პროხორენკოვსი — 17 პახარსი (67), ლობანიოვსი — 5 ლაიზანსი (70), ვერპაკოვსკისი — 16 ზირნისი (90) | შნაიდერი — 7 შვაინსტაიგერი (46), ბობიჩი — 11 კლოზე (67), კურანი — 14 ბრდარიჩი (78) |

გაფრთხილება: ისაკოვსი (1), ფრიდრიხი (21), ჰამანი (42), ფრინგსი (53), ასტაფიევსი (79)
მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი). 30 000 მაყურებელი

ჯარიმა: 23-22; კუთხური: 4-7; კარისკენ დარტყმა: 2-14; კარში დარტყმა: 5-7; თამაშგარე: 2-3



**რუდი ფიოლერი**

უგოლოდ მოგება შეუძლებელია. ცხადია, სამი ქულის მოპოვებას ვცდილობდით, მაგრამ მიღწეული შედეგისგან ტრაგედიის შექმნა სისულელეა

# ლატვიამ ფრე მოიგო

**ვაჟა ხუციშვილი**

გერმანიის გულშემატკივრები ამაოდ ნერვიულობენ. რუდი ფიოლერს მიაჩნია, რომ ლატვიასთან ფრე სამარცხვინო სულაც არაა: „გავაკეთეთ ყველაფერი, რაც შეგვეძლო, ბოლოს კი მიროსლავ კლოზემ ნაღდი საგოლე მომენტი გაანიავა. ფეხბურთელების გასაკრიტიკებლად მიზეზს ვერ ვპოულობ, თუმც უგოლოდ მოგება შეუძლებელია. ცხადია, სამი ქულის აღებას ვცდილობდით, მაგრამ მიღწეული შედეგისგან ტრაგედიის შექმნა სისულელეა. მეტოქეს კარგად ორგანიზებული დაცვა ჰყავდა, რომლის გავლაც ძალიან რთული იყო. ლატვიელები ბოლო წამამდე არ შემცდარან. გაიხსენეთ, როგორ გაუჭირდათ ჩეხებს ამავე გუნდთან. ლატვიასთან თამაშისას ნებისმიერ ნაკრებს დიდი მოთმინება და ნებისყოფა სჭირდება. უგოლობა ჩვენი პრობლემაა და მის მოსაგვარებლად ბევრი დრო არ გვაქვს. ახლა ისღა დაგვრჩენია, ჩეხებთან გამარჯვებაზე ვიფიქროთ, თუმც ჩემპიონატის დაწყებამდე მეგონა, რომ ბოლო ტურში ფრეც საკმარისი იქნებოდა მეოთხედფინალში გასავლელად. შანსი ჯერ არ დაგვიკარგავს, ლატვიასთან მოგებითაც კი არ გვქონდა მეოთხედფინალი გარანტირებული“.

ამ მატჩის წინ გერმანიაში ლატვიის ელჩ მარტინ ვირსის უთქვამს, ოლივერ კანი ერთხელ მაინც საგოლედ თუ შეცდება, ჩვენი ქვეყნის საპატიო მოქალაქის წოდებას ვუბოძებთო. გაირკვა, რომ თურმე კანის ბებიის მამა ლატვიაში დაბადებულა. მეკარემ კარგად ითამაშა. პირველ ტაიმში მასთან პირისპირ გასულ მარის ვერპაკოვსკისის არ გაატანინა, შესვენების შემდეგაც მეტოქეს ერთი სახიფათო პასი ჩაუჭრა.

რუდი ფიოლერმა თავიდანვე ორი ფორვარდი გაამწესა, მაგრამ მათ ღირებული არაფერი გაუკეთებიათ. კევინ კურანიმ ორჯერ საჯარიმოს ხაზიდან დაარტყა კარში, ფრედი ბობიჩმა კი მეორე ტაიმში უსაქმურობისგან ჩათვლიმა — მან ცარიელი კარის წინ ბურთს ფეხი ვერ მიარტყა. მწვრთნელმა იმწამსვე მიროსლავ კლოზეთი შეცვალა, რომელსაც ბობიჩზე უარესი დაემართა — ბოლო წუთზე ორიოდ მეტრიდან ბურთი თავით ჩარჩოს ააცილა. სულ ეს იყო, გერმანელებმა რაც შექმნეს მატჩის განმავლობაში. ფიოლერს არსენალში, ფაქტობრივად, არ ჰყავს ფეხბურთელი, რომელიც საჭირო მომენტში გუნდს გააძლიერებს.

მიხაელ ბალაკი შორიდან სამი დარტყმით შემოიფარგლა. პირველ ტაიმში მეტ-ნაკლებად გამორჩეოდა, შესვენების შემდეგ კი გამკრთალდა.

შეცვლაზე შესულ ბასტიან შვაინსტაიგერს ასაკის კვალობაზე ბურთთან ურთიერთობა ეხერხება, მაგრამ ფეხშიძალაგამოლეულ მშიერ კაცს ჰგავდა. გერმანელთა იერიშები იმდენად ერთფეროვანი იყო, რომ ლატვიელ მცველებს მათი მოგერიება არც ჰაერში უჭირდათ და არც მიწაზე.

რაც შეეხება ფიოლერის გუნდის დაცვას, მეტოქის შეტევა რამდენჯერმე ყვითელი ბართის ხარჯზე შეაჩერა. გარდა ამისა მსაჯმა მარის ვერპაკოვსკისის წაქცევას ორჯერ საეჭვოდ წაუყრუა. საჯარიმოში შეჭრილი ლატვიელი ფორვარდი ორ მცველს შუა აღმოჩნდა და წააქციეს. მოგვიანებით მეურვეს გასცდა და მაშინაც იგივე გაუკეთეს. ამის მნახველი, გაბრაზებული ალექსანდრს სტარკოვსი შემოხაზულში წინ და უკან დარბოდა.

ლატვიამ პირველი, ისტორიული ქულა მოიპოვა. ქვეყნის პრეზიდენტმა ვაირა ვიკე-ფრეიბერგიმ ნამატჩევს თქვა: „ჩვენი ფეხბურთელები ნამდვილად „ოქრობიჭები“ არიან. გულშემატკივრებს მხიარულების მიზეზი გაუჩნდათ“.

REUTERS ჰორტუდან

ლატვიამ გერმანია დააყვირა

ბლეიდელისი: „ზეიმი გასახდელშივე დავიწყეთ. ეს ფრე კი არა, დიდი გამარჯვებაა. ახლა ლუდის ყლურწვაც შეგვიძლია. ჩვენი სიძლიერის საიდუმლო ისაა, რომ ფეხბურთელთა უმეტესობა „სკონტოში“ დიდხანს ვთამაშობდთ ერთად“.

ალექსანდრს სტარკოვსი: „ისტორიული ამბავი მოხდა და ვფიქრობ, ფრე სამართლიანი შედეგია. შეიძლება ითქვას, ფრე მოვიგეთ. ბედნიერი ვარ, ვამაყობ ბიჭებით და გულშემატკივრებით. ეს მატჩი ფეხბურთელებმა გაცილებით თავდაჯერებულად ითამაშეს, ვიდრე ჩეხებთან. პირველ შეხვედრაში ისინი აშკარად ღელავდნენ, რაც მოსალოდნელი იყო. ვგრძნობ, გუნდი მატჩიდან მატჩამდე იზრდება“.

REUTERS ჰორტუდან

მარის ვერპაკოვსისმა ევროპა და ოლივერ კანი გააოცა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| გერმანია | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ჰოლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ლატვია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

III ტური: 23 ივნისი
**ჰოლანდია — ლატვია**
**გერმანია — ჩეხეთი**



**დიკ ადვოკაატი**

ახლა მხოლოდ იმაზე ლაპარაკობენ, რომ არასწორი შეცვლები გავაკეთე, ხოლო რამდენი უნაღდესი მომენტი ვერ გამოიყენეს ფეხბურთელებმა, არავინ ახსენებს. რობენი რატომ შეცვალეო...რა, ამით ჩვენს იერიშებს სიმწვავე მოაკლდა? რობენის შეცვლის მერე ოთხი თუ ხუთი ჯარგი მომენტი კიდევ გვქონდა.

# ჰოლანდია 2 — ჩეხეთი 3

**19 ივნისი**
D ჯგუფი. II ტური
ავეირუ. მუნიციპალი

1:0 ბუმა (4), 2:0 ვან ნისტელროი (19), 2:1 პოლერი (23), 2:2 ბაროში (71), 2:3 შმიცერი (88)

**ჰოლანდია**

1 ვან დერ სარი

3 სტამი, 4 ბუმა

18 ჰეიტინგა, 5 ვან ბრონკჰორსტი

6 კოკუ, 8 დავიდსი

20 ზეედორფი

7 ვან დერ მეიდე, 19 როგენი

10 ვან ნისტელროი

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

**შეცვლა**
რობენი — 21 ბოსველტი (58), ვან დერ მეიდე — 2 რაიციგერი (79), ზეედორფი — 11 ვან დერ ვაარტი (86)

**ჩეხეთი**

1 ჩეხი

21 უიფალუში, 13 ჟირანეკი

2 გრიგერა, 6 იანკულოვსკი

4 გალაშეკი

8 პობორსკი, 11 ნედვედი

10 როსიცკი

9 კოლერი, 15 ბაროში

მწვრთნელი: ჯარელ ბრუკნერი

**შეცვლა**
გრიგერა — 7 შმიცერი (25), გალაშეკი — 18 ჰაინცი (62), კოლერი — 22 როზენალი (75)

**გაფრთხილება:** ზეედორფი (9), ჰეიტინგა (26), გალაშეკი (54), ჰეიტინგა (75)
**გაძევება:** ჰეიტინგა (75)
**მსაჯი:** მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი). 29 935 მაყურებელი

ჯარიმა: 26-17; კუთხური: 6-7; კარისკენ დარტყმა: 4-6; კარში დარტყმა: 8-14; თამაშგარე: 5-3

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჯარელ ბრუკნერი**

ჩემმა გუნდმა ზუსტად შეასრულა ტაქტიკური გეგმა. ფრეც ჯი არასასურველი შედეგი იყო, მხოლოდ გამარჯვება დაგვაკმაყოფილებდა და მოვიგეთ ჯიდეც.

# ჩეხეთმა გაიღვიძა და გავიდა

გიორგი დარჯანია

ვფიქრობთ, შაბათ საღამოს უამრავმა გულშემატკივარმა ეს მატჩი აქამდე ჩატარებულებს შორის საუკეთესოდ შეაფასა. დიდი შანსია, ჩემპიონატის დასრულების მერეც ბევრმა თქვას, ჩეხეთი — ჰოლანდია ყველაზე მაგარი თამაში იყო.

ჰოლანდიელებმა პირველი გოლი მეოთხე წუთზე კი გაიტანეს, მაგრამ ადვილად შესაძლებელი იყო, პირველი გოლი იქამდეც გასულიყო — პირველივე წუთზე ტომაშ როსიცკისგან მიღებული პასით იან კოლერს შეეძლო გატანა. კიდევ ერთ წუთში მარეკ იანკულოვსკის ჰქონდა კარგი შანსი. გოლი კი ამის მერე გავიდა. საჯარიმოს სიახლოვეს პაველ ნედვედმა ჰეიტინგა წაიქცია. არიენ რობენმა გამოზომილად ჩაჰკიდა ბურთი შორეულ ძელთან და ბუმამ ზუსტად დაარტყა.

მალე მეორე გოლიც გავიდა. რუუდ ვან ნისტელროი წარუმატებელი იერიშის მერე საკუთარი ნახევრისკენ აუჩქარებლად ბრუნდებოდა, როცა ედგარ დავიდსმა მეტოქეს ბურთი უცაბედად წაართვა და რობენს დაუნგორა. ისიც ფლანგიდან გაიჭრა და ვან ნისტელროის, შორი მანძილი რომ ვერ გაევლო, საგოლე პასი მისცა.

ამ ორ გოლს შორის კი იყო უაღრესად სახიფათო ეპიზოდი — კლარენს ზეედორფის დარტყმული ძელმა აისხლიტა.

ერთი სიტყვით, მე-19 წუთისთვის ძნელად რომ ვინმეს დაეჯერებინა, ჩეხეთი ამ მატჩის გადარჩენას შეძლებსო.

მაგრამ რა მოხდა: ჰოლანდიელთა მეორე გოლიდან რამდენიმე წუთში მათმა კაპიტანმა ფილიპ კოკუმ მაგრად მიჰქარა — მისი უხეირო განივი პასი მილან ბაროშმა ჩაჭრა, საჯარიმოში შეიჭრა, იაპ სტამს თავბრუ დაახვია, ბურთი იან კოლერს მისცა და ამას რომ ვერ გაეტანა, სირცხვილი იქნებოდა.

ამ გოლის მერე ჩეხთა მწვრთნელმა, კარელ ბრუკნერმა ბრძოლაში ვლადიმირ შმიცერი ჩართო, რამაც ნედვედს შუაში გადანაცვლების საშუალება მისცა, იქ კი უფრო სასარგებლო იყო. მაგრამ პირველი ტაიმში ჩეხებმა მეტი ვერაფერი გააკეთეს. ეგ კი არა, ჰოლანდიელებმა კინაღამ მესამეც გაიტანეს — ედგარ დავიდსმა ისევ ძელს გაარტყა.

მეორე ტაიმი არანაკლებ ტემპში დაიწყო და მომენტებიც არანაკლები იყო. იმავ დავიდსმა ენდი ვან დერ მეიდე გაიყვანა კარგ პოზიციაზე, მაგრამ ჩეხმა აუღო. აქით, ნედვედმა გაიყვანა პობორსკი და ედვინ ვან დერ სარმა იყოჩაღა. საერთოდაც, ვან დერ სარი შეუდარებელი იყო და მისი ბრწყინვალე სეივები რომ არა, ჩეხები ბოლო წუთებამდე არ ინერვიულებდნენ.

მეორე მხრივ, აღარავინ ინერვიულებდა, ერთ ეპიზოდში ვან ნისტელროის ოღონდაც მეკარისთვის რომ აეცილებინა. აირჩიე, მარცხენა ზედა კუთხე, მარცხენა ქვედა, მარჯვენა ზედა, მარცხენა ქვედა — ვან ნისტელროიმ კი იმდენი მოახერხა, მაინდამანც ჩეხს მიუგორა.

თუმცა თამაშის დასრულებამდე 19 წუთით ადრე ჰოლანდიის გადარჩნა ვერც ვან დერ სარმა შეძლო. კოლერმა ნედვედის პასი მკერდით მიიღო და დაამუშავა, ბაროშს დასარტყმელად დაუგორა და ლივერპულელმაც, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ხარიხას ქვემოთ ჩააჭედა. მალე ნედვედმა ჰოსტიგა გააგდო — დიახ ნედვედმა, რაკი ჰოლანდიელმა ორივე გაფრთხილება ნედვედთან უხეშობის გამო აიკიდა. ნედვედმა კი გაილაღა — ჯერ ვან დერ სარმა რაღაც სასწაულით არ გაატანინა, მერე კი ჩეხმა ხარიხას გაარტყა.

თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე, შეცვლაზე შესულმა შმიცერმა პობორსკის პასით ელეგანტური დარტყმით გოლით დაასრულა კომბინაცია და ჩეხეთი ამ მართლა ბრწყინვალე მატჩის მერე პირველი მეოთხედფინალისტი შეიქნა.

გუნდი ასე რომ შეაბრუნებს თითქმის წაგებულ თამაშს, ვინძლო, მეოთხედფინალზე მეტის ღირსიც იყოს.

ჰოლანდიის ბედი კი კვლავაც ჩეხებზე ჰკიდია — თუ ჩეხეთი გერმანიას არ შეებრძოლა, მშვიდობით, ჰოლანდიავ, ტიტებით მოფენილი იყოს შენი გზა სამშობლოსკენ.

REUTERS აგენტრიდან

ედვინ ვან დე სარის კარში გადიოდა და გადიოდა



REUTERS აგენტრიდან

იაპ სტამს ლამის თავი წააცალეს

# ფრეის თფუ



ფრანჩესკო ტოტის საქციელი გადამდები აღმოჩნდა. გერმანული ტელეარხ **ZDF**-ის კამერებმა შვეიცარიელი სებასტინა ფრეიც ამხილეს — მან ინგლისთან მატჩის 77-ე წუთზე სტივენ ჯერარდს მიაფურთხა.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას და თავად დაზარალებულს უეფაში ოფიციალური სარჩელი არ გაუგზავნიათ. უეფელები ფრეისა და ჯერარდის განცხადებებს განიხილავენ, ფირსაც წაღმაუკულმა დაატრიალებენ და გადაწყვეტილებას მერელა მიიღებენ.

შვეიცარიელი ფეხბურთელი დანაშაულს უარყოფს: „არ მიმიფურთხებია. მსგავსი რამ არასოდეს გამიკეთებია. ემოციური კაცი ვარ და არა ანგელოზი, მაგრამ ასეთი ჩემს კარიერაში არ მიკადრებია. შესაძლოა, რამდენიმე მწარე სიტყვა ვუთხარი ჯერარდს, ეს ხომ ფეხბურთში ჩვეულებრივი ამბავია“.

შვეიცარიელთა ნაკრების პრესატაშე პირე ბენუა: „დარწმუნებული ვარ, არ მიუფურთხებია. ვფიქრობ, ინგლისელები არ გვიჩივლებენ. მატჩის ხსენებული ეპიზოდი განმეორებით ვნახე და ვერაფერი შევამჩნიე. უეფას დისციპლინარებმა გამოგვკითხეს ყველაფერი და მჯერა, ამ საქმის გამოძიება შეწყდება“.

გარი ნევილმა **BBC**-სთან ინტერვიუში განაცხადა, თამაშის დროს და ნამატჩევს ფურთხებაზე არაფერი მსმენიაო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რომან აბრამოვიჩის აფრები და ოფოფები

რუსეთის ნაკრების მატჩებზე თეთრ მაისურაში გამოწყობილი რომან აბრამოვიჩი ტელევიზიით რამდენჯერმე ვნახეთ. მილიარდერი პორტუგალიაში რუსთა საქომაგოდ ჩავიდა და, რასაკვირველია, „ჩელსისთვის“ ახალ ფეხბურთელებსაც ათვალიერებს.

რომან აბრამოვიჩი პირენეის ნახევარკუნძულს საკუთარი იახტით მიადგა, რომელსაც **EL GRAND BLEU** ჰქვია და სიგრძეში 335 ფუტია. მილარდერს იგი სულ რაღაც 50 მილიონი გირვანქა დაუჯდა.

იახტა დიდია და მისთვის ნავსაყუდელი რომ ვერ ნახეს, ნაპირიდან მოშორებით ჩაუშვეს ღუზა.

აბრამოვიჩმა სასტუმრო იუარა და ოკეანის ზედაპირზე ბინადრობს.

გაზეთ „კორეიუ და მანიას“ ცნობით, იახტის პატრონი ყოველდღე 5 სხვადასხვა რესტორანში უკვეთავს მაგიდას, საბოლოოდ კი ერთ-ერთ მათგანში მიდის.

ლისაბონის უძვირფასეს რესტორან „გამბრინუსში“ ოთახის ყვავილებით მორთვა მოუთხოვია, ათასი ევროც წინასწარ გადაუხდია, მაგრამ არ მისულა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| ზინედინ ზიდანი | საფრანგეთი | 2 |
| ჰენრიკ ლარსონი | შვედეთი | 2 |
| უეინ რუნი | ინგლისი | 2 |
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი | შვედეთი | 2 |
| რუუდ ვან ნისტელროი | ჰოლანდია | 2 |
| მილან ბაროში | ჩეხეთი | 2 |

## II ტურის სიმბოლური ნაკრები

# გერმანიამ გერმანია გააოგნა

„რა უბედურებაა, ლატვიელებმა გაგვასულელეს: 0:0. ახლა ვინ გვიშველის?“ — აღშფოთებულია გაზეთი „ბილდი“.

ევროპის ჩემპიონმა გიუნტერ ნეტცერმა განაცხადა: „ჩვენს გუნდს მეტი აგრესიულობა და აქტიურობა მართებს“.

გაზეთი „ველტი“: „პათეტიკური 0:0 — გერმანია უსახელო ლატვიასთან ვერ იგებს!“

„დერ ტაგეშპიგელმა“ კი გაიხსენა, რომ ლატვიაში 2 მილიონ 300 ათასი მოსახლეა, ხოლო გერმანიაში 6 მილიონი ფეხბურთელი. „არც ფანტაზია, არც გოლი. გერმანელებს მეტოქის დაცვის გასავლელად ნიჭი არ ეყოთ“.

ფეხბურთზე მწერალი გერმანელი ვალტერ სტრატენი თვლის, რომ ნაკრებმა ძალიან ძველმოდური ფეხბურთით სცადა ფონს გასვლა: „ბალტიელებთან ფრემ ყველა გულდათუთქული და უიმედო გაგვხადა. ახლა ბეწვის ხიდზე გავლა მოგვიწევს. მართალია, ჯერ არ გავვარდნილვართ, მაგრამ ქომაგებს ვურჩევ, შინ გასამგზავრებლად ბილეთები დაჯავშნონ. სავარაუდოა, რომ შედარებით სუსტებთან თითქმის ყოველთვის გვიჭირს. ინგლისი და შვედეთი თანამედროვე ფეხბურთს თამაშობენ, ჩვენ კი თითქოს უკან-უკან მივდივართ“.

გერმანიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი გერჰარდ მაიერ ფორფელდერი მაინც იმედიანადაა: „შანსი არ დაგვიკარგავს და მჯერა, ბოლომდე იბრძოლებენ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

## იტალია

### სერია B. პლეი ოფი. საპასუხო მატჩი

**ვენეცია 2:0 ბარი (0:1)**

1:0 ბრელიერი (50), 2:0 ბიანკოლინო (90)

## იაპონია

### ჯეი ლიგა. XIV ტური

კაშიმა — ივატა 1:0; შიმიცუ — ვერდი 3:1; კობე — სერეზო 2:2; ჰიროშიმა — ნიგატა 1:1; კაშივა — იოკოჰამა 1:2; ტოკიო — ნაგოია 3:2; გამბა — ურავა 3:2; ოიტა — იჩიჰარა 2:3

## დანია

### I დივიზიონი. XXX ტური

ბ-1913 — იოლსტიკე 1:1; ფრედერისია — ფრემადი 3:1; ნორდიულანდი — ჰორსენსი 0:1; ნიკიობინგი — ბრიონსჰიოი 3:2; რანდერსი — ბ-93 3:2; სილკებორგი — კიოგე 2:3; სკიოლდი — სონდერიულანდი 4:3; ვაილე — ორჰუსი 3:1

## ირლანდია

### პრემიერლიგა. XVII ტური

შემროკი — სენტ პატრიკსი 1:2; ბოჰემიანსი — დუბლინი 2:4; შელბურნი — უოტერფორდი 1:0; დერი სიტი — ლონგფორდი 0:0. *დროჰედა — კორკ სიტი გადაიდო*

## აშშ

### MLS. XII ტური

ნიუ იორკი — ლოს ანჯელესი 2:1; ვაშინგტონი — კოლამბუსი 3:1; ნიუ ინგლენდი — კანზასი 1:3; ჩიკაგო — სან ხოსე 1:1; კოლორადო — დალასი 1:1

## უკრაინა

### პრემიერლიგა. XXX ტური

ვოლინი — დინამო 0:2; შახტარი — მეტალურგი (ზ) 5:0; დნიპრო — ბორისფენი 0:1; ჩერნომორეცი — ობოლონი 0:2; ვორსკლა — მეტალურგი (დ) 1:3; ტავრია — ილიჩევეცი 1:0; არსენალი — ზირკა 3:1; კრივბასი — კარპატი 0:2

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 30 | 23 | 4 | 3 | 6&20 | 73 |
| შახტარი | 30 | 22 | 4 | 4 | 62:19 | 70 |
| დნიპრო | 30 | 16 | 9 | 5 | 44:23 | 57 |
| მეტალურგი (დ) | 30 | 14 | 10 | 6 | 51:34 | 52 |
| ჩერნომორეცი | 30 | 11 | 12 | 7 | 3&33 | 45 |
| ობოლონი | 30 | 11 | 8 | 11 | 34:35 | 41 |
| ბორისფენი | 30 | 11 | 8 | 11 | 25:29 | 41 |
| ილიჩევეცი | 30 | 10 | 10 | 10 | 34:36 | 40 |
| არსენალი | 30 | 10 | 7 | 13 | 3&44 | 37 |
| კრივბასი | 30 | 10 | 6 | 14 | 26:41 | 36 |
| მეტალურგი (ზ) | 30 | 8 | 8 | 14 | 26:40 | 32 |
| ტავრია | 30 | 7 | 11 | 12 | 22:28 | 32 |
| ვოლინი | 30 | 7 | 8 | 15 | 25:44 | 29 |
| ვორსკლა | 30 | 6 | 9 | 15 | 26:49 | 27 |
| კარპატი | 30 | 6 | 8 | 16 | 22:39 | 26 |
| ზირკა | 30 | 3 | 8 | 19 | 16:43 | 14 |

*„ზირკას“ დაკლებული აქვს 3 ქულა*

*„კარპატი“ და „ზირკა“ გავარდნენ პრემიერლიგიდან, მათ ნაცვლად კი ახალი სეზონიდან აღზევებულნი — უჟგოროდის „ზაკარპატია“ და ხარკოვის „მეტალისტი“ ითამაშებენ*

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი [illegible] აფრიკა. II ტური

### I ჯგუფი

მალი — ზამბია 1:1; კონგო — ლიბერია 3:0; ტოგო — სენეგალი 3:1

### II ჯგუფი

კაბო ვერდე — უგანდა 1:0; კონგოს დრ — ბურკინა ფასო 3:2; განა — სამხრეთ აფრიკა 3:0

### III ჯგუფი

ლიბია — კამერუნი 0:0; ბენინი — სუდანი 1:1; ეგვიპტე — კოტ დივუარი 1:2

### IV ჯგუფი

რუანდა — გაბონი 3:1; ზიმბაბვე — ალჟირი 1:1; ანგოლა — ნიგერია 1:0

### V ჯგუფი

ბოტსვანა — მალავი 2:0; გვინეა — ტუნისი 2:1

## ესპანეთი

### სეგუნდადივიზიონი. XLII ტური

**ელჩე 1:2 სალამანკა**

0:1 ზე ტო (7), 1:1 ნინო (10), 1:2 ხაიმე (54)

**ლეგანესი 0:1 კორდობა**

0:1 ოლივერა (45)

**ნუმანსია 2:0 უელვა**

1:0 მიკელ ალონსო (32), 2:0 როსუ (59პ)

**სიუდად მურსია 2:0 ალხესირასი**

1:0 ლაბაკა (38), 2:0 რობლესი (88)

**ეიბარი 1:2 ალავესი**

0:1 რუბენ ნავარო (7), 1:1 ბრიტი (78პ), 1:2 პალერმო (85)

**ტენერიფე 3:5 ხეტაფე**

0:1, 0:2, 0:3 პაჩონი (9, 28, 31), 1:3 კეკო (36პ), 2:3 იდალგო (49), 2:4, 2:5 პაჩონი (50, 78), 3:5 ლა პლაგია (90)

**სპორტინგი 1:0 მალაგა B**

1:0 ალვარო (8)

**პოლი ეხიდო 1:0 ხერესი**

1:0 კალადო (25)

**ტერასა 4:4 ლევანტე**

1:0 პინილოსი (30ს.კ.), 1:1 რეგი (31), 2:1 გიბანელი (52), 2:2 რეგი (66), 2:3 რივერა (78), 3:3 ისმაელი (86), 3:4 რეგი (89), 4:4 გიბანელი (90)

**რაიო ვალეკანო 1:2 ლას პალმასი**

0:1 ბოლიაჩინო (12), 1:1 ლუის სემბრანოსი (71), 1:2 რუბენი (77)

**კადისი 2:1 ალმერია**

1:0 პაბლო (64), 2:0 კარლიტოსი (70), 2:1 ვ. სალასი (77პ)

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევანტე | 42 | 22 | 13 | 7 | 59:33 | 79 |
| ნუმანსია | 42 | 22 | 10 | 10 | 60:30 | 76 |
| ხეტაფე | 42 | 20 | 16 | 6 | 55:38 | 76 |
| ალავესი | 42 | 20 | 14 | 8 | 4&32 | 74 |
| სპორტინგი | 42 | 20 | 10 | 12 | 5&40 | 70 |
| უელვა | 42 | 14 | 20 | 8 | 45:34 | 62 |
| კადისი | 42 | 17 | 10 | 15 | 52:47 | 61 |
| ტენერიფე | 42 | 11 | 21 | 10 | 40:40 | 54 |
| ხერესი | 42 | 12 | 18 | 12 | 47:49 | 54 |
| ეიბარი | 42 | 12 | 16 | 14 | 44:39 | 52 |
| სალამანკა | 42 | 10 | 21 | 11 | 47:44 | 51 |
| ალმერია | 42 | 11 | 17 | 14 | 45:49 | 50 |
| ტერასა | 42 | 12 | 14 | 16 | 45:50 | 50 |
| ელჩე | 42 | 13 | 11 | 18 | 50:63 | 50 |
| კორდობა | 42 | 11 | 16 | 15 | 37:42 | 49 |
| მალაგა B | 42 | 11 | 16 | 15 | 46:56 | 49 |
| პოლი ეხიდო | 42 | 12 | 13 | 17 | 29:40 | 49 |
| სიუდად მურსია | 42 | 11 | 16 | 15 | 51:63 | 49 |
| ლეგანესი | 42 | 9 | 19 | 14 | 36:47 | 46 |
| ლას პალმასი | 42 | 10 | 14 | 18 | 46:68 | 44 |
| რაიო ვალეკანო | 42 | 11 | 10 | 21 | 45:63 | 43 |
| ალხესირასი | 42 | 6 | 15 | 21 | 39:57 | 33 |


# სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები) დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით

ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები...
სპორტული ატრიბუტიკა:
დროშები, ვიმპელები...
საცალო და საბითუმო ფასებში

## სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91. 53-76-82 899 56-18-49

eurofan2004@hotmail.com

# ნათიას ხათრით დანია

მანუჩარს გაახარებს ღმერთი. რომ არ მოეწერა, „სკუადრა აძურა“ არ ვარგაო, ხომ აღარ აღშფოთდებოდნენ იტალიის გულშემატკივრები და აღარ მოიწერდნენ წერილებს. არადა, რაც აქამდე მივიღეთ, უმეტესად „იტალიელთა“ წერილებია. მოკლედ, მანუჩარი რომ არ ყოფილიყო, დავრჩებოდი ალბათ უმუშევარი.

მაგრამ ისეც არ გამოვიდეს, რომ საქართველოში ერთადერთ კაცს არ მოსწონს იტალია. წინა მიმოხილვაში გითხარით, რომ მანუჩარს ამხანაგი გამოუჩნდა, **gio_khutso** და თუ რატომ არ მოსწონს მას იტალია, ახლავე გავიგებთ.

*— არ მიყვარს იტალიური ფეხბურთი: გუნდის ლიდერი რომ ნერვებს ვერ მოთოკავს და ყოვლად უწყინარ სიტუაციაში ჩეხვას დაიწყებს, ესე იგი, რაღაც ვერაა წესრიგში. ან ის ნაწნავები რაღა იყო? რომაელ გლადიატორს ეს არ შეშვენის. ტრაპატონიმ ხომ საერთოდ გამოცა: რა უნდოდა პირლო-გატუზოს მილანურ დუეტს სკამზე, პეროტასა და ძანეტის კი მოედანზე, ვერ გავიგე. ეს მაისურაზე გაუთავებელი ქაჩაობა კი რა ჯანდაბაა?*

ჯანდაბაა, ჯანდაბა, ჩემო **gio.** მაგრამ რა ვერ გავიგე: შენ იტალია არ მოგწონს თუ ტოტი? თუ ტოტი თვით იტალიაა? ისე, **goodman**-ს რომ ჰკითხო, „აძურას“ ლიდერი ტოტი კი არა, დელ პიეროა.

ახლა „იტალიელის“ წერილი წავიკითხოთ, რომელშიც აზრები ისეა ჩამოყალიბებული, მენდელეევის ტაბულა გეგონება.

***zviadimatoshvili**: გაუმარჯოს „სარბიელს“*

*Forza Italia*

*რაც შეეხება იმას, თუ რატომ მომწონს იტალიის ნაკრები:*

*არგუმენტი **I**. იტალიას თავისებური ხელწერა აქვს. ძლიერი დაცვა და სწრაფი კონტრშეტევა დაცვიდან.*

*არგუმენტი **II**. ბევრი ვარსკვლავი (არ ჩამოვთვლი)*

*არგუმენტი **III**. არცერთი ლეგიონერი (ალბათ რაღაცას ნიშნავს)*

*არგუმენტი **IV**. სამხრეთული ტემპერამენტი (ამით ქართველებს რაღაცით გვანან)*

***P.S.** მე არ ვკარგავ ობიექტურობას და ვიტყვი, რომ დანიასთან საზიზღრად ითამაშეს, მაგრამ დღეს შვედებთან სულ სხვა თამაში იქნება (იმედი მაქვს). ასე რომ, Forza Azzuri*

ეს წერილი იტალია — შვედეთის მატჩის წინ მოვიდა და ახლა იმედი მაქვს, რომ ზვიადს იმედი აქვს, რომ იტალია ბულგარეთს მაინც მოუგებს.

შემდეგ წერილის ავტორი კი სვამს კითხვას, რომელიც შეგნებული კაცობრიობის ნახევარს აინტერესებს: ბოლოს და ბოლოს, ვისი გულშემატკივარია მანუჩარი, ასე რომ არ მოსწონს იტალია? წავიკითხოთ.

***leso2**: პრივეტ*, მე იტალიის ბალეშჩიკი** ვარ და ვთვლი, რომ ტოტის არყოფნა იტალიისთვის უკეთესია. კი ბატონო, როგორც იგროკი*** მაგარია, მაგრამ ისე ჩათლახი**** და არაკაცია. იტალიის ნაკრებს სახელს უტეხავს ეგ ... ჰო, კიდე მაინტერესებს, ის მანუჩარი თვითონ ვის ბალეშჩიკობს? ქეთის არ ეწყინოს და ბექემი მაგარი ბანძი იგროკია, ცარიელი რეკლამაა, სამაგიეროდ, ინგლისს მაგარი იგროკები ჰყავს და იმიტომაც თამაშობენ ჯერჯერობით ყველაზე მაგრა ჩემპიონატზე.*

*Italia Champion*

*ჯერჯერობით სულ ეს იყო. დროებით.*

ქეთი გაიგე, არ გეწყინოს. მკითხველებს კი ვთავაზობ გამოიცნონ, რომელი უცენზურო სიტყვით ჰყავს **leso2**-ს მოხსენიებული ფრანჩესკო ტოტი.

და თქვენ, ალბათ, უკვე დიდი ხანია გაინტერესებთ, ვინ არის ნათია, რომელსაც გავბედე და, ყველას სახელით ვგულშემატკივრობ. ახლავე მოგახსენებთ.

***natia1111**: იმედია, დანიის ნაკრები გახდება ჩემპიონი. თუ არა და, ნახვამდის $ 100. დანარჩენები არც მაინტერესებს რას იზამენ. გაუმარჯოს დანიას!!!!!*

*ნათია*

ჩემო ნათია, დანია თუ ჩემპიონი გახდა, აუცილებლად შეგეხმიანები და მოგებული ფულის გამოტანაში დაგეხმარები. და თუ დანია ჩემპიონი ვერ გახდა, გული რომ გადააყოლო, რადიოში შენთვის „ცისფერი ტრიოს“ სიმღერას შევუკვეთავ: ნათიაო, ნათიაო, გოგოვ რა დაგმართნიაო.

**nikolozoba**-სგან კი უკვე მეორე წერილი მივიღე და შევწუხდი, მგონი პიროვნების გასამება სჭირს.

ჯერ წერილი წავიკითხოთ.

*— გაიხარონ ჩეხებმა, ეგენი ყოფილან კაცები. ეხლა მაგენი ბოლო თამაშში მეორე შემადგენლოით გერმანლებს თუ მოუგებენ, დაგლიჯავენ. დანია და ჩეხეთი, აი, ჩემი ახალი ფავორიტები, რა თქმა უნდა england-ის მერე.*

*ისე რუნი რა ბიჭი იზრდება? და მინდა თიკოს, ინგლისის ფანს, მადლიერი სიტყვებით მივმართო, დაუსწრებლად შემიყვარდა, იმიტომ, რომ england-ი უყვარს. გთხოვთ გადასცეთ, რომ რუნი ფინალში ორ გოლს გაიტანს. აბა, ჰე.*

კაცო, შენ ეს „სარბიელი“ გაცნობის კლუბი ხომ არ გგონია, სპორტული გაზეთია, სპორტული. და თან კაცი ერთდროულად ინგლისს, დანიას და ჩეხეთს რომ გულშემატკივრობს, რა უბედურებაა. ხომ ვთქვი, პიროვნების გასამება სჭირსმეთქი.

არა, გავგიჟდები, **gio_khutso** გადავაჩვიე გრძლად წერას (მგონი, საერთოდ აღარ წერს) და ახლა **suxit**-ასგან მივიღე კარგა მოზრდილი წერილი, წაკითხვაც კი მეზარება. მოდით რა, ხვალ წავიკითხავ და დავბეჭდავ, ოღონდ დაგვიანებული რომ არ იყოს, ახლავე ვიტყვი, რომ **suxit**-ა პორტუგალიას ჯგუფში ჩატოვებით ემუქრებოდა და ჩატოვა თუ არა, თქვენ უკვე იცით.

ბოლოს კი **ilicha88**-ს მივმართავ: ილიჩ, შენი წერილი ძაან უცნაური შრიფტით მივიღე და ლათინურზე ვერ გადამყავს, თავიდან მოიწერე. სხვებმაც მოიწერეთ.

**ვეგმასტერი ბუარა**

* პრივეტ — გაუმარჯოს (რუსულად)
** ბალეშჩიკი — გულშემატკივარი (რუსულად)
*** იგროკი — მოთამაშე (რუსულად)
**** ჩათლახი — გატეხილი (თურქულად). ანუ ტოტალიზატორის ქვითარში ერთი თამაშის გარდა ყველაფერს რომ დასვამთ, უნდა თქვათ, ერთი თამაში გამიჩათლახდაო.

eurofan2004@hotmail.com

# აბი სიტყვა

# მიდი, ძიმა!

გე... ჰაჰა... გერ... ჰაჰაჰა...გერმან... ვა-ჰაჰა... უი, შენ გაიხარე ცოლშვილში რუდი ფიოლერო, რაც შენ და შენმა ნიჭიერმა გუნდმა მახალისეთ. ვა-ჰა-ჰა-ჰა... როგორ იყო ერთმა ყველა დროის ბრძენმა და, თუ არ ვცდები, ყველაფრის პრეზიდენტმა, რომ თქვა ჩვენთვის, ელიტისთვის სხვა შეჯიბრებები უნდა იყოს, საქართველოებს და მოლდოვებს კიდევ არ უნდა ვხვდებოდეთო. ეგ რომელი ელიტისთვის კაიზერ-ჯან, თქვენთვის და ლატვიისთვის? ვა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა, რა ვიხალისე...

ნუ, მეტოქეც ხომ მხეცთა მხეცი! ლატვიის ეროვნული, მე ვიტყოდი, ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ნაკრებში ნაღდად ყველაზე კარგი შემადგენლობაა: ივანოვსი, პეტროვსი, სიდოროვსი, კოზლოვსი, პუტინსი, ელცინსი, ბრეჟნევსი... თან წითლები აცვიათ! და თამაში აიწია, დედა შვილს არ აიყვანდა: გამოიქცეოდა ბურთიანი თეთრი და დაეჯახებოდა პირველსავე გზად გადაყრილ წითელს, იმიტომ, რომ მოხვევა არ იცოდა. გამოიქცეოდა მერე ბურთიანი წითელი, შევარდებოდა თეთრების საჯარიმოში და ლაწან კოჭებში. მე შენ გეტყვი მსაჯი რამეს იტყოდა თუ რა.

სალოლ, ძმაო, ლატვიაო. ლატვიის ბედი საქართველოს რომ ჰქონდეს, გრუზინები საერთოდ ფეხბურთის თამაშს დაანებებდნენ თავს. აბა, წარმოიდგინეთ, პირველი დღე იყო და ჩეხებმა ბურთი საჯარიმოში ხაზს იქიდან კი არა, ქალაქს იქიდან დააბრუნეს, მაგრამ დედის რძესავით შეერგოთ, მეორე დღეს კი გერმანელებმა საერთოდ ავოე ჰქნეს.

თუმცა, მოდი, გერმანელების და რუსების ისტორიულ დავას თავი დავანებოთ, იმიტომ, რომ ეგენი არ დაიკარგებიან, ბოლოს და ბოლოს, იომებენ (თუ ომს დღესვე დაიწყებენ, გერმანიის ერთიანს ვილებ ულაპარაკოდ), აი, ჩვენ, ზიდანის მოძულეთა მრავალრიცხოვან ლაშქარს რა გვეშველება, ის თქვი შენ. რატომ ვამბობთ ამას? იმიტომ, რომ ჯერ ერთი, ჩემო კარგო, [illegible] დორი რომ ბურთს თავის კარში თხლიშავს, [illegible] ბას შეუძლებელია ნიშნავდეს. მერე, მეორე ტაიმში რაც მოხდა, ყველამ კარგად ნახა თვით ზინედინის ჩათვლით და ბოლოს, ძმაო ტრეზეგევ, ხელბურთი სხვა სპორტია და ამასთან დაკავშირებით კონსულტაციები შეგიძლია „ელ დიეგოსთან“ გაიარო. მოკლედ, ვაი, ფრანგებისა და ზიდანის პატრონებს, საფრანგეთსა და ალჟირს, ხოლო ტრეზეგე რომელ ქვეყანაშიც გააფუჭეს, ნათელია.

და სწორედ ამ ქვეყნის ხსენებაზე მომაგონდა: მთელი წელიწადი რომ გაიძახი: აბა, ორთაჭალის ბაღში მნახე ვინა ვარო, მერე იმ ორთაჭალის ბაღში მიგიყვანენ, შენ კი კაცობის დამტკიცების მაგივრად აქლემივით ფურთხებას მოჰყვები, ძალიან სლაბინკი ვინმე უნდა იყო, აი. ნედვედი ვინ არისო. შენ ვინღა ხარ?!

ნედვედი, ჩემო კარგო, ერთი უნიჭო, მაგრამ მუშა ჩეხი ბიჭია, რომლის ფინტი და რამე ქვეყნად არავის უნახავს, მაგრამ როცა ფორმაშია, საკუთარ პასებს ეწევა მოწინააღმდეგის საჯარიმოსთან, ნახევარწრეებზე დარბის და ფეხები აქვს ძალიან დაგრეხილი, რითაც ქართველებს ატყუებს, „იმენა ფუტბალისტი“ ვარო. აი, შენ ვინა ხარ? იცი, იმ დღეს იტალიის და შვედეთის თამაში ერთ იტალიაზე გაგიჟებულ უმცროს მეგობართან ერთად ვნახე და გადარებდით. ჰიმნი რომ იყო, ჰიმნი... (ჰიმნი ხომ იცი რა არის?) შენ შენს ნაშასთან ერთად იდექი ტრიბუნაზე, გულზე ხელდაკრეფილი და პოლუძველი ბიჭი, ის კი გაჯგიმული ჭიმავდა იტალიის დროშა-კაშნეს და გადარეული სახით რაღაც მანდაურ სიტყვებს სვამდა მელოდიაში. ახლა მე შენ გეკითხები, სად არის ამქვეყნად სამართალი, ის არ უნდა იყოს იტალიელი... და შენ ქართველი?

აი, ასე. ბოლოს კი შეძახილით დავასრულებ დღევანდელ პორციას:

**მიდი, ძიმა, ჯიგარი ხარ! არ მკითხოთ ახლა, ვინ ძიმაო.**

# ოპიეფი

ერეკვნელი
ბიბლიოთეკა

ჯოლინჯოს ქუდი რომ არ ახურავს, ასაი არ არის?!

და ამობრწყინდა STARჯოვსის ვარსკვლავი



იმდენით „ვაგონი მიჰქრის" ჰანგზე: სად მიფრინავს ფიოლერის ნაკრები...

ჰენრიკ ლარსონი და წყლის ძალა

გაშალე დროშა!



ჩაიცვას ჰოლანდიამ ანი ძროშები და წავიდეს სახლში




ამას გაზეთი ეი არ უნდა ეჭიროს, რინგზე უნდა იდგეს

ბექჰემს მვილების სახელები ბუცებზე აწერია, მესამე რომ გაუჩნდეს სად დაიწერს?



მომაალი და არ მჯერა, ფასანოს ვიერის მუნდი ადარდებდეს

ბუნდესნარბი მერსედესის ქვეყნიდანაა?

INTERTOTO CUP

# მარეკი 0:0 დილა

## გუშინ საღამოს დილა იყო მშვენიერი

*სასიამოვნო მოულოდნელობით დაიწყო ინტერტოტოს თასის გათამაშება ქართველებისთვის — გუშინ გორის „დილამ“ ბულგარულ „მარეკს“ სტუმრად არაფერი დაუთმო და დამსახურებული 0:0 გამოიყოლა შინ. „მარეკ“ — „დილას“ მატჩს დუპნიცურ „ბონჩუკზე“ ხუთასამდე მაყურებელი დაესწრო.*



გიორგი ბალაშვილი

არადა, გორელებს მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ 84-ე წუთზე გიორგი ბალაშვილმა პენალტი ვერ გაიტანა. წუთით ადრე კი მსაჯმა ბულგარელთაგან მეტ-ნაკლებად სახელიანი ილია ილიევი წითელი ბარათით გაისტუმრა გასახდელში. ვინ იცის, ასეთი შანსის ვერგამოყენება ეგებ თითზე საკბენი გაუხდეთ ჩვენებურებს, თუმც იმედს ვიტოვებთ, საპასუხო მატჩში ზურაბ ხორგუაშვილის გუნდი უფრო რაციონალური და შედეგიანი იქნება.

„დილას“ დაუმარცხებელი სტარტი იმადაცაა სასიამოვნო, რომ გორელებმა პირველად ითამაშეს ევროტურნირში. მათგან ნახევარზე მეტს ხომ, მგონი, საქართველოს სახელმწიფო საზღვარიც არასოდეს გადაულახავს, თვითმფრინავში ჯდომაზე არაფერს ვამბობთ...

ერთი სიტყვით, 27 ივნისს თბილისში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე საპასუხო მატჩია და თუ „დილამ“ ბულგარული ეტაპი გაიარა, ბელგიურ „გენკს“ დაუპირისპირდება. ეს კი უკვე ნაღდი ევროპაა, ძმაო...

**კახა შალამბერიძე**

## დემეტრაძის სიტყვას გოლი დააკლდა

**დონეცკის** „მეტალურგის“ ქართველ თავდამსხმელს გიორგი დემეტრაძეს სიტყვის შესასრულებლად ერთი გოლი დააკლდა, თუმცა რამდენიც გაიტანა, უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირობისთვის ისიც ეყო.

დემეტრაძემ კვირას „ვორსკლასთან“ სტუმრად ორჯერ გაიტანა, 19 გოლით უკრაინის მთავარმეგოლე გახდა და ჩერნომორეცელ მდევარ კოსირინს მთელი ხუთი გოლით გაუსწრო. სიტყვა კი, რომელიც ჩვენიანმა ფორვარდმა სეზონის დაწყებამდე თქვა, ასეთი იყო: ჩემპიონატში ოც გოლს გავიტან!

ეგ არაფერი, როცა ბომბარდირობაზეა საქმე, მთავარი პირველობაა, თორემ 20 იქნება თუ 19, ამას ვინღა დაეძებს...

„მეტალურგიდან“ დემეტრაძის სავარაუდო ტრანსფერთან დაკავშირებით კი ჯერ ახალი არაფერია. ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ დემეტრაძე ვლადიკავკაზის „ალანიაში“ ბრუნდება, ლაპარაკადვე დარჩა — ჩვენიანი ოსებს პირობებზე ვერ მოურიგდა. ახლა გიორგის გადაბირებით რამენაირად „სატურნია“ დაინტერესებული, ვისი თავკაციც ბორის იგნატიევი ჩვენიანს დღე არაა, არ დაუკავშირდეს და „სატურნში“ გადასვლა არ სთხოვოს. თუმცა დემეტრაძე იგნატიევისთვის საბოლოო პასუხის მიცემას არ ჩქარობს.

**ძოგა ინასარიძე**

## გაშრკვეველ ტორპედოში მეგრელაძე დაბრუნდა

**გუშინ** ქუთაისის „ტორპედოს“ შვებულება დაუმთავრდა და სამომავალსეზონო მზადება დაიწყო. ქვეყნის სამგზის ჩემპიონებმა ვარჯიში ჩემპიონატის მთავარი ბომბარდირის სულიკო დავითაშვილის გარეშე განაახლეს — „აბრეზამ“ პირველლიგელ „ამერთან“ გააფორმა კონტრაქტი.

გუნდი სხვას არავის დაუტოვებია. „ტორპედომ“ სრული შემადგენლობით ივარჯიშა, თუმც ფეხბურთელებმა ჯერაც არ იციან, რა ელით ახალ სეზონში. გეხსომებათ, კლუბის ხელმძღვანელობა თასის ფინალში წაგების გამო განაწყენებული იყო და ერთი თქმა ფეხბურთიდან წასვლაზეც ითქვა. მერე გაირკვა, რომ ყველაფერს 20 ივნისს, შვებულების დასრულებისთანავე, კრებაზე გაეცემოდა პასუხი, მაგრამ ჯერჯერობით ასე არ მომხდარა. „ტორპედო“ ისევ გაურკვევლობაშია.

წერილი კი მოულოდნელი სიახლით დავასრულოთ — გუშინ „ტორპედოში“ ერთ დროს ქუთათურთა საუკეთესო მეგოლემ, ბოლოხანს ბერძნულ და რუსულ დაბალ ლიგებში ნათამაშებმა გია მეგრელაძემ ივარჯიშა. „ტორპედოსა“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი თავდმსხმელის ბედი უახლოეს დღეებში უნდა გაირკვეს.

**კახა შალამბერიძე**

# ამერში მოვიდნენ, ამერმა დაინყო...

**თბილისის „ამერის“** ფეხბურთელებს გუშინ შვებულება დაუმთავრდათ, დღეს სამედიცინო შემოწმებას გაივლიან, ხვალიდან კი ვარჯიშს დაიწყებენ.

ამასობაში გუნდის დაკომპლექტებაც დასრულდა. „ამერში“ მოვიდნენ საქართველოს ჩემპიონი, „ვიტ ჯორჯიას“ გამთამაშებელი გიორგი დეკანოსიძე, წინა სეზონის ტორპედოელი ბომბარდირი სულიკო დავითაშვილი, „თბილისის“ მეკარე რევაზ ნაჭყეპია, მცხეთის „ვიტ ჯორჯიადან“ თემურ სამსონი, ტორელი ოთარ ვარამაშვილი და პირველ ლიგაში ასტან დაღზევებული ჭიათურის „მაღაროელის“ ფეხბურთელი დავით სევასტოპულო.

ახალი სეზონისთვის მოსამზადებელ პერიოდში „ამერი“ ორ შეკრებასაც გაივლის. გუნდი ჯერ ბაკურიანში გაემგზავრება, მერე კი ჩეხეთში. სეზონის დაწყებამდე „ამერი“ რამდენიმე ამხანაგური მატჩის ჩატარებასაც გეგმავს.

# ორგზის ბომბარდირი პირველ ლიგაში ითამაშებს

## გოლს წინასწარ ლაპარაკი არ უყვარს

*სულიკო დავითაშვილი შარშანწინ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა, წლეულს თანაბომბარდირი — ვიტ-ჯორჯიელ რევაზ გოცირიძეს დარად 20 გოლი გაიტანა მეთხუთმეტე ეროვნულში, გუშინ კი დავითაშვილმა პირველლიგელ „ამერთან“ ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.*

*26 წლის დავითაშვილი, შინაურულად „აბრეზა“, ამერელთათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაძენია საახალსეზონოდ — ცოტა ხნის წინ „ამერმა“ საქართველოს ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას“ ან უკვე ყოფილი გამთამაშებელი გიორგი დეკანოსიძე გადაიბირა, მერე „თბილისიდან“ მეკარე რევაზ ნაჭყეპიას უხმო, ხოლო გასამება დავითაშვილს ერგო...*

„ამერის“ დამრიგებელი გიორგი ჩიხრაძე და „ამერის“ ახალთახალი გოლდამშენი სულიკო დავითაშვილი

ბაბრი ჯიმლაძის ფოტო

— საქართველოს ჩემპიონატის ორგზის ბომბარდირი პირველი ლიგის გუნდში გადახვედი — რატომ?

— დაინტერესება „ამერიდან“ წამოვიდა და მე და კლუბმა ერთმანეთს გავუგეთ. ისიცაა, რომ წინა სეზონის მეორე ეტაპი „ტორპედოში“ ვითამაშე — მე ქუთაისში, ჩემი ოჯახი თბილისში. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ თბილისურ კლუბში მეთამაშა. თანაც „ამერი“ ამბიციური გუნდია — უმაღლესი ლიგის საგზურისთვის ვიბრძოლებთ.

— წინა სეზონში „ტორპედო“ თასის ფინალში გავიდა, სადაც შენი გოლით დაწინაურდა „დინამოსთან“, მაგრამ 1:2 წააგო — ეს გოლი შენს კარიერაში ყველაზე გემრიელი იყო?

— ამ გოლის გატანის შემდეგ ისე ვიყავი გახარებული, არ ვიცოდი, ემოცია როგორ დამეცალა, მაგრამ ამ გოლს ჩემს კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვნად არ ვთვლი, რადგან ფინალი წავაგეთ.

— „დინამოსთან“ მეორე ტაიმშიც შეგეძლო გატანა, მაგრამ, ფაქტობრივად, ცარიელ კარს ააცილე-

— დღემდე ვერ ამიხსნია, რატომ ვერ შევაგდე ეს ბურთი. ალბათ მარჯვენათი უნდა დამერტყა, როგორც ეს გოლის გატანისას მოვახერხე, მაგრამ ცაცია ვარ და ცაციას ვენდე.

— შენთვის ყველაზე წარმატებული სეზონი რომელი იყო?

— 2001-02 წლები, როცა „ლოკომოტივში“ ვთამაშობდი — თასიც მოვიგეთ და ბომბარდირიც გავხდი. თუმც სეზონის შემდეგ გუნდიდან გამიშვეს, რისი მიზეზი დღესაც არ ვიცი, ალბათ, კლუბის პრეზიდენტს არ მოვწონდი.

— როგორ ფიქრობ, რომელ გუნდში მოახერხე საკუთარი ხელწერის შექმნა?

— „მერანში“. ამ გუნდში, ასე ვთქვათ, გავიზარდე და ვისწავლე ფეხბურთის თამაში.

— „მერანში“ რომ მიხვედი, მაშინ ეს გუნდი პირველ ლიგაში თამაშობდა და 1995-96 წლების სეზონში 24 გოლი გაიტანე — ახლა რამდენი გოლის გატანას აპირებ პირველ ლიგაში?

— ახლანდელი პირველი ლიგა მკვეთრად ჩამორჩება იმ პირველ ლიგას, როცა „მერანში“ ვთამაშობდი. გოლების გატანას კი წინასწარ ლაპარაკი არ უყვარს.

— „ამერის“ შემტევი ტანდემი დავითაშვილ-კაიდარაშვილი იქნება...

— ალბათ ასე მოხდება. ისე, მე და კაიდარაშვილს ერთად ადრეც გვითამაშია, მაშინ, როცა „ლოკომოტივში“ თასი მოვიპოვეთ. ჩვენი ტანდემი ახლაც ბევრ გოლს გაიტანს. თუ კაიდარაშვილი ჩემზე მეტს შეაგდებს, ამაზე არ ვიდარდებ — სულ კაიდარაშვილმა გაიტანოს გოლები, ოღონდ უმაღლეს ლიგაში გადავიდეთ. თან პასის მომწოდებელიც გვეყოლება — ჩვენს უკან გიორგი დეკანოსიძე ითამაშებს.

— თბილისურ გუნდებს ძალიან ცოტა გულშემატკივარი ჰყავთ ეროვნულ ჩემპიონატში, მით უმეტეს, პირველ ლიგაში — ძალიან გიძნელდება ასეთ ვითარებაში თამაში?

— „ამერის“ პრეზიდენტთან ამ თემაზეც ვისაუბრეთ, მაგრამ ბატონ ზურაბ ფოცხვერიასგან „ამერის“ ფეხბურთელები იმხელა თანადგომას ვგრძნობთ, რომ გულშემატკივრის ფაქტორი პრობლემა არ იქნება. თანაც მე ჩემი საქმე მაკისრია და ის ყველა სიტუაციაში უნდა გავაკეთო.

— „ამერი“ ამ შემადგენლობით უმაღლეს ლიგაში რომ თამაშობდეს დამდეგ სეზონში, რა შედეგს მიაღწევდა?

— თუკი „ამერი“ ორ ძლიერ ნახევარმცველს დაიმატებდა, საუკეთესო ექვს გუნდში მოვხვდებოდით.

**დავით თავართქილაძე**



„აბრეზას“ ბზრიალი თასის ფინალში დინამოელებმაც იგემეს

ბაბრი ჯიმლაძის ფოტო

# სარგებელი: კროკო

## წარმოგიდგენთ

## ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

© 2002 UEFA TM

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **21 ივნისი** | | | | | | |
| 23.45 019 | ხორვატია-ინგლისი | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |
| 23.45 020 | შვეიცარია-საფრანგეთი | 8,0 | 4,2 | 1,35 | 2,75 | 1,15 | 1,02 |
| | **22 ივნისი** | | | | | | |
| 23.45 021 | იტალია-ბულგარეთი | 1,17 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,05 | 3,71 |
| 23.45 022 | დანია-შვედეთი | 3,4 | 1,7 | 3,0 | 1,13 | 1,59 | 1,08 |

### I ტაიმის შედეგი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **21 ივნისი** | | | | | | |
| 5019 | ხორვატია-ინგლისი | 4,8 | 2,05 | 2,2 | 1,43 | 1,5 | 1,06 |
| 5020 | შვეიცარია-საფრანგეთი | 7,0 | 2,6 | 1,65 | 1,89 | 1,33 | 1 |
| | **22 ივნისი** | | | | | | |
| 5021 | იტალია-ბულგარეთი | 1,3 | 3,8 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,67 |
| 5022 | დანია-შვედეთი | 3,8 | 1,6 | 3,4 | 1,12 | 1,79 | 1,08 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| | **21 ივნისი** | | | |
| 5519 | ხორვატია-ინგლისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5520 | შვეიცარია-საფრანგეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | **22 ივნისი** | | | |
| 5521 | იტალია-ბულგარეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | დანია-შვედეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| | **21 ივნისი** | | |
| 5319 | ხორვატია-ინგლისი | 1,65 | 1,95 |
| 5320 | შვეიცარია-საფრანგეთი | 1,8 | 1,8 |
| | **22 ივნისი** | | |
| 5321 | იტალია-ბულგარეთი | 1,7 | 1,6 |
| 5322 | დანია-შვედეთი | 1,2 | 2,2 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| | **21 ივნისი** | | |
| 5219 | ხორვატია-ინგლისი | 1,65 | 1,95 |
| 5220 | შვეიცარია-საფრანგეთი | 1,7 | 1,9 |
| | **22 ივნისი** | | |
| 5221 | იტალია-ბულგარეთი | 2,2 | 1,3 |
| 5222 | დანია-შვედეთი | 1,95 | 1,3 |





ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით





### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შორი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| | **21 ივნისი** | | |
| 5419 | ხორვატია-ინგლისი | 2,4 | 1,6 |
| 5420 | შვეიცარია-საფრანგეთი | 3,6 | 1,25 |
| | **22 ივნისი** | | |
| 5421 | იტალია-ბულგარეთი | 1,15 | 4,4 |
| 5422 | დანია-შვედეთი | 1,95 | 1,85 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **21 ივნისი** | | | | | | | | | |
| 5119 | ხორვატია-ინგლისი | 7,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,6 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 5120 | შვეიცარია-საფრანგეთი | 14,0 | 14,0 | 20,0 | 14,0 | 5,3 | 3,5 | 40,0 | 15,0 | 1,7 |
| | **22 ივნისი** | | | | | | | | | |
| 5121 | იტალია-ბულგარეთი | 1,35 | 20,0 | 50,0 | 3,8 | 6,5 | 20,0 | 30,0 | 20,0 | 20,0 |
| 5122 | დანია-შვედეთი | 5,0 | 3,2 | 20,0 | 5,6 | 2,0 | 5,3 | 20,0 | 3,2 | 4,6 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უიმბლდონი 2004

## ვაჟების ბადე

1/32 · 1/16 · 1/8 · 1/4 · 1/2

- ფედერერი (1) — ბოგდანოვიჩი
- ნოული — ფელა
- ა. მარტინი — სანტორო
- ტ. იოჰანსონი — კიფერი (29)
- ფ. ლოპესი (18) — ბლუნფილდი
- სოლნიე — ლოდრა
- ელსენერი — პარმარი
- კარლოვიჩი — შრიჩაფანი (13)
- მოია (9) — პასიანსი
- კორეჩა — სტეპანეკი
- სარგსიანი — მ. ლოპესი
- ტურსუნოვი — საფინი (19)
- იუჟნი (31) — ივანიშევიჩი
- დელგადო — ვოლანდრი
- ლაბაძე — ვლიგენი
- მელცერი — ჰიუიტი (7)
- კორია (3) — მუდი
- მაიერი — ართუსი
- კუჩერა — ერნანდესი
- ფერეირა — ლიუბიჩიჩი (28)
- ბიორკმანი (17) — სლოიტერი
- ვაჩეკი — ლუ
- კლემანი — ი. იოჰანსონი
- ნავარო პასტორი — ფიში (14)
- გროჟანი (10) — ასიონე
- ო. როხუსი — კარა
- ბრაჩიალი — ჰერნიხი
- გემბილი — მირნი (23)
- ჯინეპრი (27) — ტიპსარევიჩი
- ვერდასკო — ვეინერი
- კუბეკი — აკასუსო
- ბუტე — ფერერო (6)
- ჰენმანი (5) — რამირეს იდალგო
- სარეტა — ჰიუბერგერი
- ფერერი — ჰანესკუ
- სა — არაზი (32)
- გონსალესი — ვასალო არგუელო
- ანდრეევი — ფან ლოტუმი
- ფერკერკი — დავიდენკო
- კ. როხუსი — ფილიპუსისი (11)
- ნოვაკი (16) — მალისი
- დიუპუი — ჰაასი
- ბეკი — მარეი
- სტარაჩე — რობრედო (20)
- ჰრბატი (15) — სანჩესი
- ჰილტონი — კოსტა
- ბენეტო — ბერდიჩი
- ანჩიჩი — ჰორნა (33)
- შუტლერი (8) — სოდერლინგი
- რუზეცკი — სანგვინეტი
- მანტია — პლესი
- რიდი — სპადეა (30)
- ჩელა (21) — ბურგსმიულერი
- ენკვისტი — ბლანკო
- ტ. მარტინი — კანასი
- ჩაილდსი — შალკენი (12)
- მასუ (15) — პოპი
- ულირახი — მონტანესი
- კარლსენი — გასკე
- რამი — პაველი (22)
- დენტი (26) — დელგადო
- პეშოსოლიდო — ფან სხეპინგენი
- პეია — სალზენშტეინი
- ვანგი — როდიკი



უიმბლდონის ჩემპიონი და მთავარი ფავორიტი როჯერ ფედერერი

# ახალი დროება: შანდრეობა

**ბოლო** თექვსმეტი წლის განმავლობაში ეს პირველად მოხდება, ლონდონურ სეფეკოინდარს არც ტურნირის შვიდგზის ჩემპიონი პიტ სამპრასი რომ არ გაჯეგავს და არც მისი თანახომლელი, 1994 წლის გამარჯვებული ანდრე აგასი. შებერებულ არმენოამერიკელს ბოლო დროს ბარძაყის ტრავმა აწუხებს და შინ დარჩენა არჩია.

ასე რომ წლეულს მთელი ყურადღება უკვე მხოლოდ ახალთაობელთაკენ მიიპყრობა. ამქრის ზეგარდმო პირველოსან როჯერ ფედერერს შარშან მოხვეჭილი ტიტულის დასაცველად სახიფათო მეტოქეებით „დანაღმული“ ბადის გადალახვა მოუწევს. ხოლო ლონიერი იანკი, ენდი როდიკი, ვინაც ათიოდ დღის წინ სტელაარტუობაზე სარეკორდოდ სწრაფი, საათში 246,2-კილომეტრიანი მოწოდება დააქუხა, ფედერერთან თავისი ვაგლახი ბალანსის (1:5) გამოსწორებას ფინალში აპირებს. მათ დავაში ალბათ წლეულს რიგიანად მობურთავე ბრიტანელი ტიმ ჰენმანი თუ ჩაერევა, რომელსაც შანსი აქვს, 1936 წლის შემდეგ უიმბლდონის მომგები პირველი ბრიტანელი შეიქნეს.

ქალთა მხარეზე კი ბელგიური სუპერწყვილის — ჟუსტინ ენენარდენისა და კიმ კლაისტერსის არყოფნაში ყველა უილიამსების ზედიზედ მესამე შიდაუიმბლდონურ ფინალს მოელის, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით ჰუზუნში განსხვავებული გეგმები აქვთ ახლახანს როლანგაროსობაზე ნაჩემპიონარ ანასტასია მისკინასა და მის (კვალიფიკანტთა ჩაუთვლელად) თორმეტ თანამემამულეს.

თუკი ტურნირის როდისგინდაროდის მომგებ ორსავე სქესის მეჩოგნეებს დავაჯამებთ, გამოვა, რომ წლეულს კაცთაგან მხოლოდ სამ, ხოლო ქალთაგან ხუთ ჩემპიონს ვიხილავთ. აქეთა ბადეში ამოკითხულ მეჩოგნეთაგან ფედერერისა და ჰიუიტის გარდა საჩემპიონო ხონჩა გორან ივანიშევიჩსაც აღუმართავს, იქეთაში კი უილიამსებთან ერთად, რომელთაც უიმბლდონზე ორ-ორჯერ უმარჯვიათ, ოდინდელი ჩემპიონის ტიტულით კონჩიტა მარტინესს, ლინდსი დევენპორტსა და, ცხადია, მის უდედათმავლესობა მარტინა ნავრატილოვას მოვიხსენიებთ.

სხვაფრივ — ტურნირს უკანასკნელ მომენტში საზარდულის ტრავმის გამო გამოაკლდა ტურნირის შარშანწინდელი ვიცეჩემპიონი დავიდ ნალბანდიანი.

უილიამსები ლონდონში დიდი ამბიციებით ბრუნდებიან

## ქალების ბადე

1/32 · 1/16 · 1/8 · 1/4 · 1/2

- ს. უილიამსი (1) — ჩენგი
- [illegible] — [illegible]
- ლი-უოტერსი — ოდონაჰიუ
- სერნა — დანილიდუ (30)
- სკიავონე (18) — კაზანოვა
- გოლოვინი — ჟიდკოვა
- გალიარდი — სნაიდერი
- მორიგამი — შნიდერი (15)
- პეტროვა (10) — პენეტა
- სუხა — ვენტო-კაბჩი
- პერებინისი — ვეელერი
- სეკუერა — მარტინესი (22)
- დეში (25) — მედინა გარიგესი
- სანჩეს ლორენცო — ობრაიენი
- მარერო — ბალტაჩა
- შაული — კაპრიატი (7)
- მორესმო (4) — კოსტანიჩი
- ვაკულენკო — ჰოპკინსი
- შეტი — ჩერვანოვა
- ასაგოე — რეიმონდი (26)
- პირსი (24) — რუანო პასკუალი
- კრასნორუცკაია — ნაგიოვა
- სტრიჩოვა — ტალაია
- პენგი — ფარინა ელია (14)
- სუარესი (9) — პერი
- ჰარკლროუდი — კალენსი
- სანი — გაბრინი
- კრემერი — სულუაგა (19)
- საფინა (29) — პარა
- გრანდე — სანტანჯელო
- ლეონ გარსია — ლიხოვცევა
- რაზანო — კუზნეცოვა (8)
- დევენპორტი (5) — რანდრიანტეფი
- ბრანდი — ბენეშოვა
- ვიჯაჯა — ვაშინგტონი
- პანოვა — ლუა (28)
- დოკიჩი (29) — დულკო
- კასტანო — ნავრატილოვა
- ობატა — ბირნეროვა
- სტოსური — ზვონარიოვა (12)
- პისტოლეზი (16) — სრებოტნიკი
- ვეინგარტნერი — ხლადკოვა
- კრეიბასი — ბლეკი
- დუჩევინა — მალეევა (21)
- შონეზი (32) — ირვინი
- მანდულა — ლაგოსტერა
- სპრემი — გრანვილი
- მიქაელიანი — ვ. უილიამსი (3)
- დემენტიევა (6) — კლეინოვა
- გრონფილდი — ტანასუგარნი
- პისნიკი — ეშლი
- ცინკი — მოლიკი (27)
- რუბინი (17) — ბარტოლი
- კამერინი — ბარნა
- იანკოვიჩი — კუკალოვა
- ჯეინსი — სუგიამა (11)
- შარაპოვა (13) — ბეიგელზიმერი
- კეტანოვიჩი — პრატი
- ჰანტუხოვა — რივზი
- გოლოვინი — ბოვინა (20)
- ფრეზერი (31) — კირილენკო
- ვებლი-სმიტი — ბელტრამი
- იუგიჩ-სალკიჩი — კაპროში
- კურჰაჩოვა — მისკინა (2)

ევროპის ჩემპიონატის შემსარჩევი ეტაპი. IV ტური 20 ივნისი. სპორტის სასახლე

ქართველებს ხორვატებამდე ძალიან ბევრი უკლიათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასე ვერ ვიფრენთ!

## ფრენბურთს აფიშაც სჭირდება

### საქართველო 0:3 ხორვატია

22:25 17:25 14:25

**საქართველო:** ნახიანი, მეტრეველი, აირაპეტიანი, ჯიოშვილი, დავითულიანი, არველაძე, გერლიანი, ცარენკო, ბუდაგოვა, ხუდოევა, ღვინჯილია, საათაშვილი

**ხორვატია:** ლეტო, პოპოვი, ზუანოვიჩი, მიალიჩი, მარინკოვიჩი, იოკოვიჩი, ლიხტენშტეინი, რეჟიჩი, დეგანჟიჩი, ჟერკოვი, ბარენი, კატიჩი, დელიჩი, დანიჩიჩი, ჟელიჩი, უზიჩი, პეზიჩი, პოლაკი

საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრებმა ევროპის საკვალიფიკაციო რაუნდის მეოთხე მატჩი ჩაატრა. სასწაული არც ახლა მომხდარა და ჩვენმა გოგონებმა კვლავ მშრალი ანგარშით წააგეს.

სპორტის სასახლის ფასადს ორი დიდი პლაკატი ამშვენებდა. ერთი გვამცნობდა, რომ მალე თბილისში გაიმართება ბრძოლა წესების გარეშე სომხებთან, მეორე კი რაღაც დისკოთეკის თაობაზე იუწყებოდა. გასაგებია, რომ ფრენბურთის ფედერაციას არ ულხინს, გასაგებია და, ჩვენი პირობებიდან გამომდინარე, გასაკვირიც არაა, მაგრამ ერთი ნაჭრის გადმოფენას წინ რა უდგას, რა დიდი ფული და ორგანიზება იმას უნდა, რომ წააწეროთ: საქართველო — ხორვატია, ამა და ამ დღეს...

არა, ვინმეს არ ეგონოს, რომ ჩვენ ცარიელმა ტრიბუნებმა წაგვაგებინა. ხორვატები ჩვენ კი არა, ჩვენზე გაცილებით ძლიერ მეტოქეებს სჯობიან, ერთი თავით, მაგრამ უბრალოდ, საწყენია... ფრენბურთი ძალიან ლამაზი სპორტია, თან სულაც არაა ისეთი, რომ ქართველმა გულშემატკივარმა ალღო ვერ აუღოს, მით უმეტეს ქალთა ფრენბურთი, რომელსაც ჩვენი მშვენიერი სქესის წარმომადგენლები არცთუ ურიგოდ თამაშობენ. მართალია, სლოვენიასთან მეტი იბრძოლეს და სეტები ნაკლები სხვაობით წააგეს, მაგრამ არც ხორვატიასთან შეურცხვენიათ თავი. პირველში სულაც მოგება შეეძლოთ და თანაბარ ბრძოლაში მხოლოდ 3 ქულა დათმეს. 22-25 ეს ის ანგარიშია, რომელიც გულშემატკივრს უკეთესის იმედს უტოვებს, მაგრამ მეორე და მესამე სეტები მართლაც დიდი ანგარიშით დავთმეთ.

ჩვენებიდან ისევ ზემფირა ბუგოვას თამაში უნდა აღვნიშნოთ. გუნდის შეტევებს სწორედ ის ლიდერობდა და ამიტომ ბოლო დარტყმის უფლებას ხშირად თანაგუნდელებს უტოვებდა, ძირითადად ნინო მეტრეველსა და ირა ნახიანს. არადა, ზემფირა სწორედ ბოლო დარტყმის ოსტატია და ასეთი ტაქტიკა რამდენად გამართლებული იყო, ვერ გეტყვით.

ნახიანი კი სლოვენიასთან ჩატარებული თამაშის ფონზე დღეს ნაღდად ვერ გამოიყურებოდა კარგად. ხშირად ცდებოდა შეტევის დაბოლოებისას და სისწრაფითაც ვერ გამოირჩეოდა — ირა ოდნავ გადაღლილი ჩანდა.

მაშა ცარენკომ პირველ მატჩთან შედარებით უკეთ ითამაშა, მაგრამ მისი ფორმა ოპტიმალურისაგან ჯერ ძალიან შორსაა.

გუნდის კაპიტანი მარიკა გერლიანი აშკარად არ ჰგავდა თავის თავს.

სხვა მხრივ გამოსარჩევი არაფერი ყოფილა, ხორვატიამ ყველა კომპონენტში გვაჯობა, მაგრამ ერთი უნდა ითქვას, ჩვენების თამაშში უიმედობა არ იგრძნობდა. გოგონები განწირული გუნდის შთაბეჭდილებას არ ტოვებენ და სპორტის ამ სახეობას თუ ოდნავ მეტი ყურადღება მიექცევა, ალბათ გამარჯვებები არ დააყოვნებს.

**ლადო ფულუკიძე**



ირაკლი დოლიძეს-ბაქრაძის ფოტო

ჭადრაკი

### მსოფლიოს ჩემპიონატი ფაუნებში

**ლიბია, ტრიპოლი 18 ივნისი — 13 ივლისი**

პირველი წრე. პირველი მატჩები *ქართველთა შედეგები*

მორთეზა მაჰჯუბი (ირანი) — **ზურაბ აზმაიფარაშვილი** (საქართველო) 1:0

**მერაბ გაგუნაშვილი** (საქართველო) — სუმბათ ლპუტიანი (სომხეთი) 0:1

**ბაადურ ჯობავა** (საქართველო) — რუბენ ფელგაერი (არგენტინა) 1:0

ვასილიოს კოტრონიასი (კვიპროსი) — **გიორგი ყაჭეიშვილი** (საქართველო) 0:1

# მსოფლიო ევროპაზე დიდია

## ზურაბ აზმაიფარაშვილმა მორთეზა მაჰჯუბთან წააგო



**ბუკქმეიკერებმა** ფსონთა სიაში მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი დაწერეს 6 კოეფიციენტით. მეორე გახლავთ ინგლისელი მაიკლ ადამსი 8 კოეფიციენტით. ქვეფავორიტებს შორისაა ფიდე-ს ვიცეპრეზიდენტი, ასლან აბაშიძის მეგობარი ზურაბ აზმაიფარაშვილი. ტოტალიზატორებმა იგი მე-15 პოზიციაზე გაამწესეს და 30 „კუში" დაუწერეს.

პირველი წრის პირველი ოთხი ქართული მატჩიდან ჩვენებურებმა ორში იმარჯვეს, ორში კი წააგეს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დამარცხებულთა შორის ევროპის ჩემპიონი ზურაბ აზმაიფარაშვილიცაა, მან ჩემპიონატის 115-ე ნომერ ირანელ მორთეზა მაჰჯუბთან დათმო შეხვედრა და ეს ჩემპიონატის პირველი სენსაცია გამოდგა. ვერ აააწყო თამაში გაგუნაშვილმაც და თეთრი ფიგურებით სომეხ ლპუტიანთან 48-ე სვლაზე დამარცხდა.

ახლა კი გამარჯვებულებზე ვთქვათ.

ჯობავა — ფელგაერის პარტიაში, მეტოქეებმა თავიდანვე ცენტრში გადასხეს ძალები, ერთმანეთის შესაშინებლად ერთი-ორი გაისროლეს და ჯარის გადაწყობას შეუდგნენ. თეთრები მალე გაბატონდნენ დაფაზე, შავებმა კი უკან დაიხიეს, მთელი ძალები მეფის დასაცავად გაიხმეს და ხელმწიფე H8 კუთხეში ჩაკეტეს. შავთა სიმაგრეს ქართველი ეტლებითა და კუთი ეკვეთა, მტერს საგანგებოდ შემუშავებული წყობა მოუშალა და სტრატეგიულად უკეთეს პოზიციაში დარჩა. დარჩენილი ძალები ჯობავამ ლაზიერის ფლანგზე გადაისროლა, სადაც ორი პაიკი ჰყავდა გასაყვანი. არგენტინელმაც ყურადღება ცხელი წერტილისკენ გადაიტანა, მძიმედ ეკვეთა ქართველის ფიგურებს და საკმაოდ ხოცა ისინი, თუმც ამით მოიერიშე პაიკები ვერ შეაჩერა და 61-ე სვლაზე ჯობავას გამარჯვება აღიარა. აღსანიშნავია, რომ ბოლო სვლაზე ქართველს მხოლოდ ხელმწიფე და ოთხი პაიკი დარჩა დაფაზე, ფელგაერს კი ხელმწიფე და სამი პაიკი ეტლთან და კუსთან ერთად.

მძიმე ბრძოლა მოიგო ყაჭეიშვილმაც. თითქმის მთელი პარტიის განმავლობაში მოწინააღმდეგეები ერთმანეთის ტერიტორიაზე გადასვლას უფრთხოდნენ და შორი გასროლებით გადიოდნენ ფონს. სნაიპერობაში ორივე კარგი იყო, თუმც სტრატეგიულად ქართველმა უკეთ შეაფასა მდგომარეობა და 50-ე სვლაზე გამარჯვებას მიაღწია.

**ლაზა გეგეჭკორი**

ფორმულა 1. 55-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეცხრე ეტაპი

# ძმების გზები გაიყარა

## რალფი კლინიკაში მოხვდა, მიხაელი, რა თქმა უნდა, პოდიუმზე

**გუშინ** ინდიანაპოლისის თითქმის საუკუნოვან „მოტორ სპიდვეიზე“ რბოლით 55-ე საფორმულო სეზონის პირველი ნახევარი გასრულდა. მეცხრე ეტაპიც მიხაელ შუმახერის მორიგი, წლეულს უკვე მერვე(!) ტრიუმფით აღინიშნა. „წითელ ბარონს“ ამჯერადაც ვერავინ გაუწია წინააღმდეგობა, პოულის მომგებმა თანაფერარელმა რუბენს ბარიკელომაც კი. დასაწყისშივე შუმიმ ისე ადვილად გაასწრო რუბინიოს, თითქოს ისინი განსხვავებულ მანქანებში მსხდარიყვნენ. ბარიკელომ შუა რბოლაში ერთხელ კი სცადა პარტნიორისთვის სამაგიეროს გადახდა და თითქმის შეძლო კიდეც გვერდის ავლა, მაგრამ ლამის უკვე შვიდგზის ჩემპიონი ვის გაუშვებდა წინ, თუნდაც თავისიანს და მკვეთრად მოუჭრა გზა. მერე ეტყობა „ფერარის“ შტაბიდან პილოტები გააფრთხილეს კიდეც, ერთმანეთი არ დაელეწათ. ასეა თუ ისე, ბარიკელოს სარისკო ცდა აღარ გაუმეორებია და მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. ეს ფერარელთა წლეულს მეექვსე დუბლია (მოგება პირველ-მეორე ადგილით), პირადად რუბენსისთვის კი 50-ე პოდიუმი და ზედიზედ მეათე ქულებიანი რბოლა.

უმძიმესი ავარია შეემთხვა რალფ შუმახერს. მეათე წრეზე მისი მართვადაკარგული „უილიამსი“ საშინელი ძალით მიეხეთქა ბეტონის კედელს. ტრასაზე პეისკარი გამოჩნდა, მერე სასწრაფო დახმარების მანქანაც. დაშავებულ მძღოლს თითქმის 15 წუთი ექიმები იქვე, ტრეკზე წამლობდნენ, მერე კი საკმაოდ რთულ მდგომარეობაში მყოფი კლინიკაში წაიყვანეს.

პატარა შუმის თანაგუნდელი ხუან-პაბლო მონტოია სტიუარდებმა რბოლის დაწყების წინ წესის დარღვევისთვის დისკვალიფიკაციით დასაჯეს, რამაც ცხადია, „უილიამსის“ მხრიდან პროტესტი გამოიწვია. საღღეისოდ უხნესმა მეფორმულემ, 37 წლის ოლივიე პანიმ თავისი 150-ე ეტაპი საპატიო მეხუთე ადგილით დაასველა, ახალბედა უნგრელმა ზოლტ ბაუმგარტნერმა კი პირველი საკარიერო ქულა მოინაგრა.

ბეტონის ბარიერზე მინარცხებულ რალფ შუმახერს რამდენიმე წუთი იქვე ასულიერებდნენ



### რბოლის შედეგები

 აშშ-ის ჯიდიპარიზი
20 ივნისი. ინდიანაპოლისი
დისტანცია 73 წრე — 310,016 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (2) | მშუმახერი (ფერარი) | 1:40:30,[illegible] (82,2[illegible]) |
| 2 | (1) | ბარიკელო (ფერარი) | ჩამორჩა 2,950 |
| 3 | (3) | სატო (B.A.R) | 22,036 |
| 4 | (-) | ტრული (რენო) | 34,544 |
| 5 | (8) | პანი (ტოიოტა) | 37,534 |
| 6 | (7) | რაიკონენი (მაკლარენი) | 1 წრით |
| 7 | (12) | კულჰარდი (მაკლარენი) | 1 წრით |
| 8 | (19) | ბაუმგარტნერი (მინარდი) | 3 წრით |
| 9 | (14) | ფიზიკელა (ზაუბერი) | 8 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (10) | ვებერი (იაგუარი) | გაიარა 60 წრე |
| (5) | მონტოია (უილიამსი) | 56 (დისკვალიფიკ.) |
| (17) | ჰიდფელდი (ჯორდანი) | 40 |
| (4) | ბატონი (B.A.R) | 26 |
| (11) | და მატა (ტოიოტა) | 16 |
| (6) | რ.შუმახერი (უილიამსი) | 9 |
| (9) | ალონსო (რენო) | 8 |
| (13) | კლიენი (იაგუარი) | 0 |
| (15) | მასა (ზაუბერი) | 0 |
| (16) | პანტანო (ჯორდანი) | 0 |
| (18) | ბრუნი (მინარდი) | 0 |

*ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი*

**კვალიფიკაცია**
ბარიკელო — 1.10,223 (214,9 კმ/სთ)

**რბოლაში საუკეთესო წრე**
ბარიკელო — 1.10,399 (214,4 კმ/სთ)

**საერთო ჩათვლა**
1. მ. შუმახერი 80 ქულა; 2. ბარიკელო 62; 3. ბატონი 44; 4. ტრული 41; 5. ალონსო 25; 6. მონტოია 24; 7. სატო 14; 8. რ. შუმახერი 12; 9. ფიზიკელა 10; 10. კულჰარდი 9

ფეხბურთი

## ინტერტოტოს თასი 2004

### პირველი ეტაპი. პირველი მატჩები

| | | |
|---|---|---|
| მარეკი (ბულგარეთი) | 0:0 | დილა (საქართველო) |
| ოდენსე (დანია) | 0:0 | ბალიმენა (ჩრდ. ირლანდია) |
| სპარტაკი (რუსეთი) | 2:0 | ატლანტასი (ლიტვა) |
| გენტი (ბელგია) | 2:1 | ფილკირი (ისლანდია) |
| ბრეგენცი (ავსტრია) | 4:0 | ხაზარი (აზერბაიჯანი) |
| სანტა ჯულია (ანდორა) | 0:8 | სარტიდი (სერბეთი) |
| გრევენმახერი (ლუქსემბურგი) | 1:1 | ტამპერე (ფინეთი) |
| ტეუტა (ალბანეთი) | 0:0 | დუბნიცა (სლოვაკეთი) |
| ვეტრა (ლიტვა) | 3:0 | ტრანსი (ესტონეთი) |
| ვლაჟნია (ალბანეთი) | 1:2 | ჰაპოელი (ბეერ-შევა, ისრაელი) |
| თუნი (შვეიცარია) | 2:0 | გლორია (რუმინეთი) |
| ოდრა (პოლონეთი) | 1:0 | დინამო (მინსკი, ბელარუსი) |
| მიუპა (ფინეთი) | 1:1 | ზლინი (ჩეხეთი) |
| ესბიერგი (დანია) | 3:1 | რუნავიკი (ფარერები) |
| ეგერისტვითი (უელსი) | 0:0 | დინაბურგი (ლატვია) |
| ეთნიკოსი (კვიპროსი) | 1:5 | ვარდარი (მაკედონია) |
| ჰიბერნიანსი (მალტა) | 2:1 | სლავენი (ხორვატია) |
| სპარტაკი (სლოვაკეთი) | 3:0 | დებრეცენი (უნგრეთი) |
| კორკ სიტი (ირლანდია) | 3:1 | მალმიო (შვედეთი) |
| შოპრონი (უნგრეთი) | 1:0 | ტეპლიცე (ჩეხეთი) |
| პუბლიკუმი (სლოვენია) | 2:1 | სლობოდა (ბოსნია) |

### იტალია

**სერია A/B. პლეი ოფი**
**საპასუხო მატჩი**

ფიორენტინა 1:1 პერუჯა (1:0)

**სერია C1/A. პლეი ოფი**

ლუმეცანე 1:2 დ.დ.(0:0) ჩეზენა

**სერია C1/B. პლეი ოფი**

კროტონე 3:0 ვიტერბეზე

### შვედეთი

**სუპერლიგა. XI ტური**

ეშიოპინგი — ფრისკა 1:3; ბოდენი — ფალკენბერგი 0:2; ბრაგე — იოსტერსი 0:1; გაის — ჯესტეროსი 3:1; გეფლე — ფრიოლუნდა 1:0; ასირისკა — ჰეკენი 1:2; ნორჩიოპინგი — კაფე ოპერა 1:2; ატვიდაბერგი — ბრომაპოიკარნა 1:1

### ნორვეგია

**ტიპელიგა. XII ტური**

ლილესტრიომი 1:1 ლინი
მიოლდე 3:0 სტაბეკი
ვოლერენგა 2:0 ჰამ კამი
ოდ გრენლანდი 4:4 სოგნდალი
ტრომსიო 3:2 ფრედრიკსტადი

**I დივიზიონი. XIII ტური**

ალესუნდი — ჰიონეფოსი 3:2; ჰაუგესუნდი — სტარტი 2:3; ჰიოდი — ტრომსდალენი 7:1; მანდალი — რაუფოსი 1:1; მოსი — კონგსვინგერი 3:0; პორს გრენლანდი — ვარდ ჰაუგესუნდი 5:2; სკეიდი — ბრინი 4:2; სტრიომსგოდსეტი — სანდეფიორდი 2:1

### ფინეთი

**ვეიკაუსლიგა. X ტური**

ალიანსი 3:1 ჰაამენლინა
ჰაკა 1:2 ტურკუ
ლაჰტი 1:1 ჰიკ
როვანიემი 1:2 ჯაზი
კტპ 2:1 ტპ-47

კალათბურთი

# ხორვატმა ბერძნული ოცნება აიხდინა

## ბერძენიშვილი დინამოში ითამაშებს

მთლად კონტრაქტი არ გაფორმებულა, მაგრამ დავით ბერძენიშვილის თბილისის „დინამოში“ თამაში გადაწყვეტილი ამბავია. ამ საქმეს ბეჭედი მაშინ დაესმება, როცა ვიცე-ჩემპიონთა თავკაცი დრაჟენ ბრაიკოვიჩი ხორვატიიდან ჩამოვა და საბოლოოდ იტყვის, ბერძენიშვილი დინამოელიაო.

საწინააღმდეგოს ხორვატი მწვრთნელი ძნელად თუ იტყვის, რადგან „დინამოს“ შეფებმა ისევ იუარეს უცხოელებით გაძლიერება, საქართველოში კი ბერძენიშვილის მჯობნი ცენტრი რომ არ მოიძებნება, თავად ბრაიკოვიჩიც აღიარებს.

„დინამოს“ თავკაცს აქამდეც სურდა „ბასკოს“ ლიდერის გადაბირება, მაგრამ ვერაფრით დაიყოლია და მასთან ბრძოლა თსუ-დან და სსუ-დან გადმოყვანილი მეფარეებით გააჩაღა. ვალერი კილაძემ და ვანო აბულაძემ კი გააძლიერეს „დინამოს“ ფარქვეშა პოტენციალი, მაგრამ ვერც ისე, „ბასკოს“ ცენტრი დაეჯაბნათ.

ბრაიკოვიჩი მიზანთან ახლოს მარტის ბოლოს იყო, როცა აწგასრულებული მე-13 ჩემპიონატის მეოთხე წრეში „ბასკოს“ დაფინანსება შეუწყდა და გუნდის წამყვანი მოთამაშეები სხვა წამყვან კლუბებს შეუთანხმდნენ თანამშრომლობაზე. ბერძენიშვილი „დინამოს“ გაურიგდა, მაგრამ მერე ფედერაციამ ბრძანა, არავითარი ტრანსფერებიო და უქონელმა „ბასკომ“ ასე ალალ ბედზე ჩაამთავრა ჩემპიონატი. უხელფასო ბერძენიშვილმა დაპურებულ-გაკაჟებულ დინამოელ მეფარეებს აჯობა, არც სხვა ბასკოელებმა დააკლეს ხელი საერთო საქმეს და ჩემპიონები გახდნენ.

„ბასკოს“ ხსნა ჯერაც არ „ჩანს — აჭარაში პოლიტიკური თამაშობანი“ კვლავაც გრძელდება და კალათბურთისთვის ფულის გამომსვლელიც ვერ მოიძებნა. სამაგიეროდ, ისევ გამოჩნდა ჩასაფრებული „დინამო“ და ჩემპიონებს ერთ-ერთი ლიდერი წაჰგვარა.

**ირაკლი პერტაია**

ბერძენიშვილს „დინამოელობა“ ეფარება

ბადრი ჯეიოლაძის ფოტო

## საქართველო 11:35 ბლუ ბულზი

20 ივნისი. „ეროვნული“. მსაჯი: ლევან მგელაძე

**საქართველო:** ბარკალაია, ხამაშურიძე, ფირფილაშვილი, ი. გიორგაძე, ანდღულაძე; კვინიხიძე, სამხარაძე; ბოლღაშვილი, მაისურაძე, უდესიანი, გორგოძე, ზედგინიძე, ესაკია, ა. გიორგაძე, კუთარაშვილი

**შეცვლაზე შევიდნენ:** ჭავჭავაძე, სანაძე, დათუნაშვილი, სარდანაშვილი, კვირიკაშვილი, ელოშვილი, კაჭარავა, გასვიანი, ხინჩაგიშვილი

**ბლუ ბულზი:** რუთსი, ფან დერ ბერგი, ნილი, ე. ბოთა, ველში; სტრიდომი, ჯორდაანი; ლეონარდი, კრაუზე, ფერმუილენი, ფან სხოვენბურგი, როსოუ, ბანდსი, გ. ბოთა, რუ

**შეცვლაზე შევიდნენ:** ფან დერ ვალტი, ჰუმანი, ფერმააკი, ჰოფმანი, მათი, სტეინი, დეს ფონტეინი

**მცოცავი ანგარიში:** 0:3 სტრიდომი (ს), 5:3 გორგოძე (ლ), 5:8 ე. ბოთა (ლ), 8:8 კვინიხიძე (ს); 8:13 ველში (ლ), 8:18 ნილი (ლ), 11:18 ბარკალაია (ს), 11:23 რუთსი (ლ), 11:28 როსოუ (ლ), 11:30 სტრიდომი (გ), 11:35 ფან დერ ბერგი (ლ)

# გაკვეთილი საქართველოს

## ხარების ხელში ვერ გავიხარეთ

სამხრეთაფრიკელებმა კიდევ ერთი გაკვეთილი ჩაგვიტარეს, მესამედაც დაამარცხეს ამ ჯერზე საქართველოს ეროვნული გუნდის სახელით გამოსული ქართველები და მშობლიური თბილი ქვეყნისკენ ამ ლამით 35-საათიან გზას გაუდგნენ.

სხვაობა თანდათან მცირდებოდა. „ბლუ ბულზმა“ პირველად ქართული კლუბების ნაკრებს 73:15 მოუგო. ჩვენებმა აქ აფრიკელებს ორი ლელო გაუტანეს. შემდეგ რუსთავში ჩვენმა „ა“ ნაკრებმა, ძირითადად კი ახალგაზრდა ბორჯღალოსნებმა სამი ლელო მოინგრეს და 17:55 დამარცხდნენ „ბულზის“ ასევე მეორე შემადგენლობასთან. გუშინ კი უკვე ეროვნულის ჯერი იყო და აქ ქართველებმა მხოლოდ 11:35 წააგეს, მაგრამ მხოლოდ ერთი ლელო გაიტანეს.

პირველი ტაიმი თანაბარიც კი გამოვიდა. ქართველებს 8-კაციან შერკინებაში 5 საფრანგეთიდან ნაწვევი ლეგიონერი ჰყავდათ, „ხარებს“ კი პირიქით სწორედ ხუთი მორკინალი აკლდათ, რომლებიც სამხრეთ აფრიკის ნაკრებში იყვნენ გამოძახებულები ირლანდიასთან ორტესტიანი სერიისთვის. პირველ ტაიმში აფრიკელებმა ვერ გაშალეს თამაში და ძირითადად კუნთმაგარი მორკინალების ხარჯზე ცდილობდნენ ფონს გასვლას, აქ კი ბორჯღალოსნები კლუბელებისა და ახალგაზრდებისგან განსხვავებით ყოჩაღად დაუდგნენ მომხდურებს.

„ხარები“ სტრიდომის საჯარიმოთი 3:0 დაწინაურდნენ და შემდეგ ინიციატივა მასპინძლებს დაუთმეს. მასპინძლებმაც ისარგებლეს და ლელო გამოაცხვეს — წყვილი აუტის შემდეგ ოდესღაც იტალიურ „როვიგოში“ თანაგუნდელებმა აქვსენტი გიორგაძემ და ილო ზედგინიძემ „ხარები“ დერეფანში გააცუცურაკეს და დაცვის ხაზი გაუჭრეს. კუთარაშვილიც წამოეშველათ და ზორბა მამუკა გორგოძემ თითქმის ისეთივე ლელო დაუდო აფრიკელებს, როგორც რამდენიმე თვის წინ ერთა თასზე ჩეხებს. კვინიხიძემ ვერ გარდასახა, სამაგიეროდ ეტიენ ბოთას ასევე გარდაუსახავი ლელოს შემდეგ საჯარიმო გაიტანა და ტაიმი 8:8 მორჩა.

ვერ გეტყვით, რა უთხრა მწვრთნელმა ჰაიკე მაიერმა შეგირდებს, ერთი კი ცხადია, ზე-12-ის გუნდის ასეთი უნაყოფო თამაშით ის ნაღდად არ დარჩებოდა კმაყოფილი. ეტყობა ხაზის გაშლა დაავალა და უკვე დაღლილი ბორჯღალოსნების პირისპირ მეორე ტაიმში სულ სხვა გუნდი გამოვიდა.

თამაში ხეირიანად განახლებული არ იყო, რომ ჩვენს ლელომდე ლამის ერთ მიწოლამდე მისულმა „ხარებმა“ თამაში ხაზში გამოშალეს და გარემარბმა ფრიკი ველშმა (11) ლელო დადო. რამდენიმე წუთში „ბულზის“ ხაზმა მეორე ლელო გაიტანა, შემდეგ მესამე. ჩვენი ბეკები ვერ აკავებდნენ „ხართა“ ფეხმარდებს, რაც უნდა იყოს, ეს ზე-12-ის გუნდის ძირითადი უკანახაზელები არიან, რომლებიც დღეს თუ ჩვენებს ეთამაშებიან, ერთ კვირაში ავსტრალიელებს, ახალზელანდიელებს და ამათ ბიძაშვილ ფიჯი-სამოელებს ფინტებში ეჯიბრებიან. 11-15 ნომრებიდან ყველამ გაიტანა თავისი წილი ლელო.

ულელოვოდ არ გავიდა მოედნიდან ჩვენი ძველი ნაცნობი დენი როსოუც. ჯამში ქართველებმა ლელებში 1:6 წააგეს.

აფრიკელები ალბათ 12-დღიანი ქართული ექსკურსიით ნასიამოვნები გაფრინდნენ თბილ სამხრეთში, სადაც ახლა ზამთარია. მათ კი, ვინაც ამ სამ თამაშზე მისვლა არ დაიზარა, ალბათ კარგა ხანი ემახსოვრებათ ბურების მკაცრად მოწესრიგებული და ამავე დროს უკიდურესად უხეში და ბინძური თამაში. განსაკუთრებით მორაგბეებს, ვინც მათი ძალა მოსინჯა.

უხეშობა უხეშობად, აფრიკელი ალბათ არ გადაეჩვევა წიხლის ჩარტყმას — უმალ მეტოქეს უფრო მიაჩვევს. მაგრამ ყველაფერთან ერთად მათ რაგბის თამაშიც ჩინებული იციან. დადექი, უყურე და ისწავლე.

**ირაკლი ფირაფშვილი**

## ნამატჩევს

**ჰაიკე მაიერი, „ბლუ ბულზის“ მთავარი მწვრთნელი:**

— ჩემი გუნდი ძირითადად ორ ფრონტზე იბრძვის. „ქარის თასზე“ და ზე-12-ში. ამ ტურნირებზე აბსოლუტურად განსხვავებული ტაქტიკით ვთამაშობთ. ქართველები უფრო ქარისთასულად ბურთაობთ. განსაკუთრებით ფიზიკურ მომზადებაში მომეწონეთ.

თბილისური შეკრებით უაღრესად კმაყოფილი ვრჩები. ეს 12 დღე რომ ძალიან ნაყოფიერად გამოვიყენეთ, ქარის თასის მომავალ გათამაშებაში გამოჩნდება. მანამდე ორი კვირაღა რჩება. რაც შეეხება დღევანდელ თამაშს, როგორც ველოდი, ყველაზე მძიმე გამოდგა. პირველ ტაიმში სერიოზულად გაგვჭირდა, რადგან ბოლომდე მობილიზება ვერ შევძელით, მეორე ნახევარში გაცილებით სრულყოფილად ვითამაშეთ და ანგარიშიც წავიყვანეთ.

...ქართულ-აფრიკულ სარაგბო თემს შორის მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ჩვენი კავშირი აუცილებლად უფრო გაღრმავდება. ალბათ რამდენიმე მწვრთნელს სამწვრთნელო კურსების გასავლელადაც მივიწვევთ. საქართველოს ნაკრების თავკაცებს ახლავე ვეპატიჟები. ჯერ ვერ შეგპირდებით, მაგრამ შეიძლება ჩვენებურ აკადემიაში რამდენიმე პერსპექტიული ქართველი მორაგბეც მივიწვიოთ. მანამდე კი ქართველებთან ხშირი მიმოწერა გვექნება.

...სამხრეთ აფრიკაში რომ ჩავალ, თქვენს ქვეყანაზე სულ აღფრთოვანებით ვილაპარაკებ.

**მალხაზ ჭეიშვილი: საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი:**

— აფრიკელებთან თამაში ჩვენთვის დიდი გაკვეთილი იყო. 20-25 იანვრიდან უკვე ჩვენ ვესტუმრებით და მომავალი ერთა თასისთვის მოვემზადებით. იანვრამდე დიდი დროა, მაგრამ შეიძლება ნაკრებმა შეკრება ან ამხანაგური მანამდე ველარ ჩაატაროს. ყოველ შემთხვევაში, ჯერ კონკრეტული არაფერია დაგეგმილი.

**ილო ზედგინიძე, საქართველოს ნაკრების კაპიტანი:**

— მადლობა „ბლუ ბულზს“ ამ დიდი გაკვეთილისთვის. მათი შესაძლებლობა დღეს აშკარად გამოჩნდა. განსაკუთრებით მეორე ტაიმში. ჩვენ კი კარგად მანამდე ვთამაშობდით, სანამ მათ მიერ შემოთავაზებულ ტემპს ვუძლებდით. ძალიან დამღლელი თამაში იყო და კლასმა თავისი ქნა.

*პრესკონფერენციის შემდეგ სტუმარ-მასპინძლებმა რესტორან „არსგვს“ მიაშურეს და მესამე ტაიმთან ერთად აფრიკელთა გასაცილებელიც იპურმარილეს. პრეტორიელი „ხარები“ სამშობლოში ღამის სამ საათზე გაფრინდნენ.*

**ოთარ მაღლაკელიძე**

ბადრი ჯეიოლაძის ფოტო


**სარბიელი**
**სპორტული გაზეთი**

**გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან**

**გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს**

**გამომცემელი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჯედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**რედაქტორის მოადგილე** სოსო კოტორეიშვილი
**ტექნიკური რედაქტორი** მამუკა გუბელაძე
**ქართული ფეხბურთის რედაქცია:** დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
**უცხოური ფეხბურთის რედაქცია:** გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი:** ირაკლი ფირაშვილი
**ინფორმაციის რედაქცია:** გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი ჯეიოლაძე
**სტილისტები:** ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
**კომპიუტერული ცენტრი:** ლიაბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
**საფოსტო მისამართი:**
თბილისი — 79, **საფოსტო ყუთი** 208. **ტელეფონი:** 39 48 29
**ელექტრონული ფოსტა**
sarbieli@gol.ge
**ელექტრონული ვერსია**
http://www.sarbieli.com.ge